სამოქალაქო უფლებები მზარდი საპოლიციო ტერორის პირისპირ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სამოქალაქო უფლებები მზარდი საპოლიციო ტერორის პირისპირ

თბილისი
2024

პუბლიკაცია შექმნილია შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს შვედეთის მთავრობის შეხედულებებს.

ანგარიშის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ონიანი

ანგარიშის ავტორები: თამაზ კირტავა
იოსებ ედიშერაშვილი
თამარ ბოჭორიშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე
მარიამ ოქრუაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

კონტექსტი 4

1. აქციის დაშლის შესახებ უკანონო გადაწყვეტილებები 10

2. აქციების დარბევისთვის გამოყენებული საშუალებები არა მარტო არაპროპორციულია, არამედ, თავისი შინაარსით, უტოლდება ორგანიზებულ დანაშაულს 12

   2.1. მშვიდობიანი დემონსტრანტების, ჟურნალისტების და დაკავებულების აბსოლუტური უფლების - წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის დარღვევა 12

   2.2. აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების პრაქტიკა აღწევს არაადამიანური მოპყრობის ხარისხს 13

3. აქციების დაშლის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუარესება 16

   წყლის ჭავლში ცრემლსადენი გაზის შერევა 16

   უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა 17

   სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ... 19

   შეკრებებზე ნიღბის ტარების აკრძალვა 19

   ცვლილებები „პოლიციის“ შესახებ საქართველოს კანონში 22

4. მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალის გამოყენების მიზანი – მედიის ფუნქციონირების ხელშეშლა, მათ შორის, მათ მიერ დანაშაულების ამსახველი ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალის გავრცელების შეზღუდვა 23

5. არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფებების ჩართულობა პროტესტის წინააღმდეგ 24

6. იძულებითი გაუჩინარება საპროცესო გარანტიების უგულებელყოფით 27

7. უკანონო დაკავება ადმინისტრაციული წესით 29

   საკანონმდებლო ჩარჩოს გაუარესება 29

   ახალი სამართალდარღვევები 30

   გაზრდილი სანქციები 30

   დაკავების საფუძვლები 32

8. სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება დემონსტრანტების მიმართ 34

9. რეპრესიები საჯარო მოხელეების მიმართ 38

კონტექსტი

2024 წლის 28 ნოემბრიდან 1 თვე გავიდა, რაც საქართველო ფართომასშტაბიანმა ყოველდღიურმა ლეგიტიმურმა პროტესტმა მოიცვა. საპროტესტო აქციები იმართება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. ლეგიტიმური პროტესტი გამოწვეულია „ქართული ოცნების" მიერ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების შეჩერებით,[1] რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს *(„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად"[2]).* ამასთანავე, ეს საპროტესტო აქციები არის არჩევნებთან დაკავშირებული და, ზოგადად, ქვეყანაში დემოკრატიული უკუსვლისა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების წინააღმდეგ გამოხატული პროტესტის გაგრძელება, რომელიც 2024 წელს სხვადასხვა დროს იმართებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრაციები მშვიდობიანია,[3] მიმდინარე პროტესტს თვითნებურად და ძალადობრივად არბევს საპოლიციო ძალა. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საქართველოს სახალხო დამცველმა, ასევე, საყოველთაო და რეგიონულმა ადამიანის უფლებების ზედამხედველმა ორგანოებმა ერთხმად დაგმეს სასტიკი ძალის გამოყენება.

ეუთოს ადამიანის უფლებათა ოფისმა განაცხადა, რომ *არაპროპორციული და განურჩეველი ძალის გამოყენებამ მნიშვნელოვნად დააზარალა პროტესტში მონაწილე ბევრი დემონსტრანტი და ჟურნალისტი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა იყო მშვიდობიანი.*[4] **ასევე, ეუთოს თავმჯდომარეობის სამეულმა (მალტა, ჩრდილოეთ მაკედონია, ფინეთი)** *მკაცრად დაგმო საქართველოს მთავრობის ძალადობრივი პასუხი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიისა და პოლიტიკოსების მშვიდობიან პროტესტზე, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული მომავლის მხარდასაჭერად დგანან. სამეულმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, მყისიერად შეწყვიტოს რეპრესიული ტაქტიკისა და დაშინების, მათ შორის, უსაფუძვლო დაკავებისა და ფიზიკური ძალადობის გამოყენება.*[5] **ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის განმარტებით**, *პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა ძირითადად მშვიდობიანი დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებს აშუქებენ.*[6] ***გაეროს სამი სპეციალური მომხსენებლის განცხადებით***, *ისინი ხედავენ „[...] სახელმწიფო უსაფრთხოების ძალების ყოველდღიურ ძალადობას მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, მასობრივ თვითნებურ დაპატიმრებებსა და სისხლის სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას, ასევე, მთავრობისა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი სახელმწიფო უწყებების მიერ ცილისწამების კამპანიას, რომელიც მომიტინგეების,*

---

[1] „ევრონიუსი", „მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი" - ირაკლი კობახიძე, 28.11.2024, https://euronewsgeorgia.com/2024/11/28/miviget-gadawkvetileba-2028-wlis-bolomde-dgis-wesrigshi-ar-davakenot-evrokavshirtan-molaparakebebis-gaxsnis-sakitxi-irakli-kobakhidze/, [27.12.2024].

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36, [27.12.2024].

[3] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, OSCE human rights office condemns use of excessive force by police during protests in Georgia, 30.11.2024, https://www.osce.org/odihr/581962?fbclid=IwY2xjawHCHQNleHRuA2FlbQIxMQABHQR9IheQTVJCFJ3oLK1xeP8PAfXi3iaEjQgzCmSJ_XIMYl0IstC5tLMPHg_aem_XXvlpTvRDJK4xDqh5nHi8A, [27.12.2024].

[4] *იქვე.*

[5] Troika, OSCE Chairpersonship, Statement by the OSCE Troika on the Situation in Georgia, 13.12.2024, https://www.osce.org/chairpersonship/583315, [27.12.2024].

[6] CoE, Commissioner for Human Rights, Georgian authorities must fulfil their obligation to uphold the right of peaceful assembly, 04.12.2024, https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgian-authorities-must-fulfil-their-obligation-to-uphold-the-right-of-peaceful-assembly, [27.12.2024].

განსაკუთრებით, ახალგაზრდების, სამოქალაქო საზოგადოების და უფლებადამცველების სტიგმატიზაციასა და დაშინებას ისახავს მიზნად".[7] **„ამნესთი ინთერნეიშენელის" შეფასებით**, უკანონო ძალის, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მასშტაბი, რომელსაც პოლიცია იყენებს, მიუთითებს, რომ ეს ხდება მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების საფუძველზე და ძლიერდება დაუსჯელობის განცდით.[8] **Human Rights Watch-ის** თანახმად, ხელისუფლების მიერ უმეტესად მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული ძალადობის დონე შოკისმომგვრელია, აშკარად ანგარიშსწორებას ისახავს მიზნად, არღვევს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო ნორმებს. პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მასშტაბი და ამისთვის მათთვის პასუხისმგებლობის დაუკისრებლობა მიანიშნებს, რომ ასეთი ძალადობა ნებადართულია ან მოწონებულია ხელისუფლების მიერ.[9] **„ერთად წამების წინააღმდეგ" კონსორციუმის (UATC) წევრი ორგანიზაციების (IRCT, IFEG, OMCT, Omega Research Foundation) ერთობლივი მისიის წინასწარი მიგნებების მიხედვით,**[10] *„ჩვენებების თანმიმდევრულობა, ამგვარი ინციდენტების განმეორებადი ხასიათი სამი კვირის განმავლობაში და წამებისა და არასათანადო მოპყრობის აქტებზე პასუხისმგებლობის არარსებობა მიუთითებს რეპრესიების სისტემურ და კოორდინირებულ პოლიტიკაზე. ეს პოლიტიკა, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს შიშის, დაშინებისა და შურისძიების ატმოსფეროს შექმნას იმ პირების მიმართ, რომლებიც საჯაროდ ეწინააღმდეგებიან მთავრობის პოლიტიკას".*[11] ასევე, *„დაზიანებების მოდელი, რომლებიც დაფიქსირდა, არ ადასტურებს ორი მხარის ფიზიკური კონფლიქტის, მაგალითად, ჩვეულებრივი ჩხუბის ან შეტაკების ვარაუდს დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. საერთო ჯამში, სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებები, მათ შორის, დაზიანებების მოდელი მიუთითებს სისტემატურად წამებისა და არასათანადო მოპყრობის კოორდინირებულ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე დემონსტრანტებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ, რაც ხშირად მას შემდეგ ხდე-*

---

[7] Georgia: UN experts concerned by widespread human rights violations amid ongoing protests, 13.12.2024, https://www.ohchr.org/en/press-releases/2024/12/georgia-un-experts-concerned-widespread-human-rights-violations-amid-ongoing, [27.12.2024].

[8] Amnesty International, Brutal Crackdown on Protesters and Journalists in Georgia: "They May Have Broken Our Bones, But They Won't Break Our Spirits" Testimonies of Survivors of Human Rights Violations Amidst Protests in November–December 2024 in Georgia, 2024, p2, https://www.amnesty.org/en/documents/eur56/8845/2024/en/, [27.12.2024].

[9] Human Rights Watch, Georgia: Brutal Police Violence Against Protesters, 23.12.2024, https://www.hrw.org/news/2024/12/23/georgia-brutal-police-violence-against-protesters?ref=oc-media.org, [27.12.2024].

[10] ერთად წამების წინააღმდეგ კონსორციუმი (United Against Torture Consortium – UATC), რომელიც 2023 წლის ივნისში შეიქმნა, აერთიანებს წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციას (OMCT), წამების პრევენციის ასოციაციას (APT), წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს (IRCT), ACAT-ების საერთაშორისო ფედერაციას (FIACAT), Omega Research Foundation-სა და REDRESS-ს. ერთად წამების წინააღმდეგ კონსორციუმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი იყო მზარდი შეშფოთება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ადამიანის უფლებების ფართოდ დარღვევის შემთხვევები, რაც პროტესტებისა და სხვა საჯარო შეკრებების წინ, მათი მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ ხდება მსოფლიოს მასშტაბით. 2024 წლის 10-24 დეკემბერს, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭომ (IRCT), დამოუკიდებელ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფსა (IFEG) და წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციასთან (OMCT) ერთად, თბილისში განახორციელა ერთობლივი მისია საიას, GCRT-ის, HRC-ისა და სხვა ქართული ორგანიზაციების მხარდასაჭერად. ამ მისიას კვლევითი დახმარება გაუწია Omega Research Foundation-მა.
იხ. IRCT, IFEG, OMCT, Omega Research Foundation, საია, GCRT, HRC, საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, 24.12.2024, https://gyla.ge/post/tsameba-da-araadamianurimopkroba-saerto-gancxadeba, [27.12.2024].

[11] IRCT, IFEG, OMCT, Omega Research Foundation, საია, GCRT, HRC, საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, 24.12.2024, https://gyla.ge/post/tsameba-da-araadamianurimopkroba-saerto-gancxadeba, [27.12.2024].

ბოდა, რაც ისინი პოლიციის ფიზიკურ კონტროლს ექვემდებარებოდნენ".[12]

2024 წლის აპრილიდან საქართველოს ხელისუფლება მუდმივად მიმართავდა პოლიციურ ძალადობას, დაშინებას და სხვა პრაქტიკას, რაც არღვევს ადამიანის უფლებათა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალს.[13] თუმცა, 2024 წლის 28 ნოემბრიდან მშვიდობიანი და ლეგიტიმური პროტესტის ჩასახშობად ხელისუფლების მიერ გამოყენებულმა მეთოდებმა სიმძიმის ახალ დონეს მიაღწია.[14] **განვითარდა შემდეგი მოვლენები:**

- **წამება; არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა დემონსტრანტების ფართო ჯგუფისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ; ნაცემია დაკავებულთა უმრავლესობა.**
- **აქტიური სპეციალური საშუალებების (წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის სპრეი) გამოყენების წესების, არა მარტო, დარღვევა, არამედ მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ფორმით გამოყენება.**
- **არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფებების თავდასხმები დემონსტრანტებსა და მედიის წარმომადგენლებზე.**
- **მიზანმიმართული დევნა მედიის წარმომადგენლების მიმართ, რაც, არაერთ შემთხვევაში, დაზიანებებით და ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობით სრულდებოდა.**
- **უკანონო დაკავება ადმინისტრაციული წესით (თვითნებური დაკავება შეეხო 500-მდე პირს).**
- **მოქალაქეთა უკანონო ჩხრეკა საჯარო ადგილებში, ჩხრეკა/ამოღების ოპერაცია ბინებსა და ოფისებში.**
- **სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება დემონსტრანტების მიმართ (დაკავებულია 40-მდე პირი).**
- **მუქარა საჯარო მოხელეების მიმართ - გარდა ფიზიკური ძალადობისა, ხელისუფლება ცდილობს, შეზღუდოს საჯარო მოხელეების გამოხატვის თავისუფლება სამსახურებიდან მათი დათხოვნის პირდაპირი თუ ირიბი მუქარით, თანამდებობის დატოვებისკენ მოწოდებით.**

---

[12] იქვე.

[13] ამ დარღვევების დეტალური აღწერა იხილეთ „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში», 2024, https://gyla.ge/files/ადამიანის%20უფლებები%20 რუსული%20კანონის%20პირისპირ.pdf, [27.12.2024].

[14] საია, „რუსთაველის გამზირზე მიმდინარე პროტესტის დარბევა კვლავ ჩვეული უკანონო და არაპროპორციული ძალის გამოყენებით მიმდინარეობს". 29.11.2024, https://gyla.ge/post/%20Darebva-kvlav-araprprciuli-zaliat-da-ukanonod-mimdinareobs, [27.12.2024]; საია, „შსს თბილისსა და ბათუმში კვლავ დემონსტრაციული ძალადობით ცდილობს ლეგიტიმური პროტესტის ჩახშობას", 29.11.2024, https://gyla.ge/post/Gyla-gancxadeba-aqciis-dzaladobit-darebva, [27.12.2024]; საია, „ვითარება რუსთაველის გამზირზე", 29.11.2024, https://gyla.ge/post/29-30octomberi, [27.12.2024]; საია, „მთელი ღამის განმავლობაში სპეცრაზმი ათზე მეტ დროით ეპიზოდში კვლავ განაგრძობდა სპეციალური საშუალებების, მათ შორის, წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებას მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, 02.12.2024, https://gyla.ge/post/2dekemberigancxadeba, [27.12.2024]; სახალხო დამცველი, „სახალხო დამცველი მოუწოდებს შსს-ს, არ გამოიყენოს სპეციალური საშუალებები მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა მიმართ", 02.12.2024, https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-moutsodebs-shss-s-ar-gamoiqenos-spetsialuri-sashualebebi-mshvidobiani-shekrebis-monatsileta-mimart, [27.12.2024]; საია, „3-4 დეკემბერს, ლეგიტიმური პროტესტის მე-6 დღეს, შსს-მ კვლავ ძალადობის გზით სცადა დემონსტრანტების დარბევა, 04.12.2024, https://gyla.ge/post/3-4-dekembris-darbevis-Sefaseba-GYLA, [27.12.2024].

- **კანონმდებლობის შეიარაღება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ. კონკრეტულად, ცვლილებები შევიდა შემდეგ კანონებში: საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ; კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ; პოლიციის შესახებ კანონი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.**

კონტექსტის თვალსაზრისით, დამატებით, აღსანიშნავია ის მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა ქვეყანაში 28 ნოემბრის მასობრივ პროტესტს. ეს არის იმ საპროტესტო ტალღის გაგრძელება, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს „რუსული კანონის" რეინიციირებიდან დღემდე, არჩევნებთან დაკავშირებული პროტესტის ჩათვლით.

2024 წლის 28 მაისიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც, მასობრივი პროტესტის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია და 2024 წლის 4 აპრილს ინიციირებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონი (რუსული კანონი[15]) მიიღო,[16] სამოქალაქო უფლებების დაცულობის მასშტაბი, უკვე საკანონმდებლო დონეზეც, მნიშვნელოვნად შეიზღუდა. 2024 წლის 1-ლი აგვისტოდან „რუსული კანონი" ამოქმედდა.[17] მისი მოქმედება არც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა.[18] 2024 წლის 17 ოქტომბერს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნეს საჩივარი 140 განმცხადებლის (16 მედია ორგანიზაცია, 120 სამოქალაქო საზოგადოების

---

[15] *„კანონი ითვალისწინებს დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებელი რეესტრის შექმნას არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ. ასეთი ორგანიზაციები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციად" უნდა დარეგისტრირდნენ და შესაბამისი დეკლარაციები წარადგინონ. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მძიმე ფინანსურ სანქციებს, რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის. მსგავსი კანონმდებლობა მიიღეს რუსეთში და ამან გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტა." იხ: საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში", 2024, 5*;
ასევე, Ecodefence and Others v. Russia, no. 9988/13, 14.06.2022; Kobaliya and others v. Russia, no. 39446/16, 22.10.2024.

[16] საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში", 2024, 6, https://gyla.ge/files/ადამიანის%20უფლებები%20რუსული%20კანონის%20პირისპირ.pdf, [27.12.2024].

[17] „ფორმულა", „დღეიდან რუსული კანონი ამოქმედდა", 01.08.2024, https://formulanews.ge/News/114970, [27.12.2024].
შეიქმნა უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი, რომელიც ელექტრონული სახითაა მოცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე. ამ საიტზე შესაძლებელია სუბიექტების საფინანსო დოკუმენტაციის გაცნობა: https://fitreg.napr.gov.ge/fitr/fitr-pub, [27.12.2024]. ამასთანავე, შესაბამის ორგანიზაციებს დაეკისრათ აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაციისა და საფინანსო დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრებათ ჯარიმები. საქართველოს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, მე-9 და მე-10 მუხლები.

[18] კანონის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად 2024 წლის 18, 24, 31 ივლისსა და 19 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტის 38-მა წევრმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და მედიებმა. 2024 წლის 29-31 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა გამწესრიგებელი სხდომა. დაახლოებით, 1 თვეში გამოქვეყნდა საოქმო ჩანაწერი, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო, თუმცა არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების შესახებ. იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 4 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრები: თამარ კორძაია, ანა ნაცვლიშვილი, ლევან ბეჟაშვილი და სხვები (სულ 38 დეპუტატი), ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ა(ა)იპ „უფლებები საქართველო", ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი" და სხვები (სულ 122 მოსარჩელე), შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი" და ა(ა)იპ „სტუდია მონიტორი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". N3/3/1828,1829,1834,1837.

ორგანიზაცია, 4 ფიზიკური პირი) სახელით.[19] საჩივარი უკვე რეგისტრირებულია.[20]

საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რომელიც აწესებს არაერთ შეზღუდვას თანასწორობის უფლების გარანტირების, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის, პირადი ცხოვრების დაცულობის, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით.[21] მეტიც, კანონი, თავისი შინაარსით, აწესებს კონსტიტუციურად აკრძალული კონტროლის მექანიზმს - ცენზურას. ეს კანონი გამოქვეყნდა 2024 წლის 3 ოქტომბერს და იმავე წლის 2 დეკემბერს ამოქმედდა.[22]

2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე, მათ შორის, ხმის ფარულობის უფლების მასობრივი დარღვევით,[23] ძირითადად, უთანასწორო, ძალადობრივ და დაძაბულ გარემოში ჩატარდა,[24] რამაც მოქალაქეებში პროტესტი გამოიწვია.[25] 2024 წლის აპრილსა და მაისში „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული აქციების მსგავსად, ზემოხსენებულ დემონსტრაციებსაც ხელს უშლიან არაიდენტიფიცირებადი ფიზიკური პირებით დაკომპლექტებული არაფორმალური ჯგუფები (ე.წ. ტიტუშკები).[26] კვლავ იკვეთება საპოლიციო ძალადობა.[27] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გაუარესებულია აქციების მართვის პროტოკოლი.[28]

---

[19] საია, „სამართლებრივი ბრძოლა რუსული კანონის წინააღმდეგ სტრასბურგში გაგრძელდება“, https://www.gyla.ge/results/8418, 17.10.2024, [27.12.2024].

[20] საია, „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსული კანონის წინააღმდეგ საჩივარი დაარეგისტრირა“, 13.11.2024, https://www.facebook.com/photo/?fbid=981321547373201&set=a.485094683662559, [27.12.2024].
„არასამთავრობო ორგანიზაციების 99% უარს აცხადებს აგენტად რეგისტრაციაზე“. „მთავარი არხი“, 02.09.2024, https://www.facebook.com/watch/?v=851021856744778, [27.12.2024].

[21] საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ, 2024; საია, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხმაურება“, 20.09.2024, https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmdeg-mimartul-sakanonmdeblo-cvlilebebs-ekhmaureba [27.12.2024].

[22] საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ, 2024, https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110, [27.12.2024].

[23] როგორც 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე გამოიკვეთა, ბიულეტენების ხარისხი ვერ უზრუნველყოფდა, რომ მის უკანა მხარეს არ დაეტოვებინა გაფერადებული წრის კვალი. საია, 29.10.2024, https://www.facebook.com/GYLA.ge/videos/1097292615073077, [27.12.2024].
საარჩევნო უბნების უმრავლესობაში „ქართული ოცნების” მიერ დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, უყურებდა რეგისტრატორის მაგიდებს და ვერიფიკაციის აპარატებს, ზოგჯერ კი - ხმის მიცემის კაბინებსა და საარჩევნო ყუთს. საია, 28.10.2024, https://www.facebook.com/GYLA.ge/videos/1072581891028234, [27.12.2024].
ასევე, გამოვლინდა ფარულობის დარღვევის სხვადასხვა ეპიზოდი, მათ შორის, ხმის მიცემა არაუფლებამოსილ თანმხლებ პირთან ერთად. საია, 26.10.2024, https://www.facebook.com/GYLA.ge/videos/1283197176372073, [27.12.2024].

[24] საია, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის შეფასება, 27.10.2024, https://gyla.ge/post/gancxadeba-27octomberi-11saati, [27.12.2024].

[25] Civil.ge, თბილისში აქცია „დაიბრუნე შენი ხმა“ იმართება, ოპოზიციამ თსუ-ს მახლობლად კარვები გაშალა, https://civil.ge/ka/archives/636073, 17.11.2024, [27.12.2024].

[26] „ტვ პირველი“, „ტიტუშკები» მოგვიგზავნეს - სტუდენტები ამტკიცებენ, რომ გამთენიისას თსუ-ში ფიზიკურად გაუსწორდნენ“, 22.11.2024, https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/86547-titushkebi-mogvigzavnes-studentebi-amtkitseben-rom-gamteniisas-tsu-shi-pizikurad?fbclid=IwY2xjawGxOMRleHRuA2FlbQIxMQABHVDV4QQS_B3f7SpyJdX9Nu71xJv4FOrD63v9HE4e68lhWShKeVnsPdAEMA_aem_1AoRrybwDyDZ2ZjLbwpMaQ, [27.12.2024].

[27] „ფორმულა“, 19.11.2024, https://www.facebook.com/watch/?v=911716597690977, [27.12.2024].

[28] 2015 წლის 30 დეკემბრის შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით დამტკიცდა შეკრებისა და მანიფესტაციის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია. 2021 წლის 11 ივლისს დამტკიცდა ახალი N1002 ბრძანება, რომელშიც გაუარესებულია შეკრებების და მანიფესტაციების მართვის სტანდარტი.

ნაცვლად სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირებისა, პირიქით, წახალისებულია დაუცველ ჯგუფებზე ძალადობა. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე მოძალადეთა ვადაზე ადრე გათავისუფლება.[29] საგულისხმოა, რომ ჟურნალისტებზე ძალადობისა და საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევები გამოვლინდა 2024 წლის ოქტომბერ-ნოემბრის აქციებზეც როგორც არაფორმალური ჯგუფების („ტიტუშკები“), ისე საპოლიციო ძალების მხრიდან. სამართალდამცავები არა მხოლოდ მიზანმიმართულად ასხამდნენ წყლის ჭავლს და უმტვრევდნენ კამერებს,[30] არამედ, ასევე, ძალადობდნენ და აკავებდნენ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს.[31]

გამოწვევად რჩება როგორც მიმდინარე დემონსტრაციებზე, ისე 2024 წლის აპრილი-მაისისა და 2023 წლის მარტის აქციებზე მომხდარი ძალადობის ეპიზოდების გამოძიების არაეფექტიანობა. მოძალადე სამართალდამცავებს პასუხისმგებლობა არ დაჰკისრებიათ, ხოლო აქციებში მონაწილე პირების მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი ავლენს, რომ სასამართლო დიდი ინტერვალით დებს სხდომებს, სავარაუდოდ, იმ მოტივით, რომ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მოასწროს აქტივისტების შეწყალება.[32]

[29] საია, 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე მოძალადე პირები ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ, 20.11.2024, https://gyla.ge/post/Gyla-5-ivlisis-saqme, [27.12.2024].

[30] საიას განცხადება, 02.12.2024, https://www.facebook.com/photo/?fbid=994618546043501&set=a.485094690329225, [27.12.2024].

[31] „მედიაჩეკერი“, პროევროპული აქციების გაშუქებისას 50-ზე მეტი ჟურნალისტი დაშავდა, https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/99134-proevropuli-aqciebis-gashuqebisas-50-ze-meti-zhurnalisti-dashavda, 02.12.2024, [27.12.2024].

[32] საია, „რუსული კანონის“ საპროტესტო აქციების მონაწილე პირების სისხლის სამართლის საქმეების განხილვას სასამართლო აჭიანურებს“, 24.11.2024, https://gyla.ge/post/rusuli-kanonis-saprotesto-aqciis-monawileta-sasamrtlo-chianurdeba, [27.12.2024].

1. აქციის დაშლის შესახებ უკანონო გადაწყვეტილებები

2024 წლის 28 ნოემბრიდან მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებას, როგორც წესი, წინ უძღოდა **შინაგან საქმეთა სამინისტროს <u>ცრუ განცხადება</u>** იმის თაობაზე, რომ აქცია გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მოთხოვნებს და გახდა სრულად ძალადობრივი.[33] იმ ფაქტს, რომ ეს განცხადება არის ცრუ, ასევე, ადასტურებს, **ეუთოს** <u>შეფასებაც,</u> რომლის თანახმადაც, ***„[...] მომიტინგეების აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიანი იყო“.*** ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრაქტიკის მიხედვით, როდესაც აქციის მონაწილეთა უმრავლესობა არის მშვიდობიანი, ვერანაირი ფაქტი ვერ აქცევს შეკრებას არამშვიდობიანად, შესაბამისად, მთლიანი აქციისა და მშვიდობიანი მომიტინგეების დაშლა ვერ გამართლდება.[34] ამრიგად, **აბსოლუტურად ყველა შემთხვევა გასული 1 თვის განმავლობაში, როდესაც საპოლიციო რაზმებმა დაიწყეს სრული მასშტაბით აქციის დაშლა, იყო უკანონო. კონკრეტულად:**

- **2024 წლის 28-29 ნოემბრის ღამე**
- **2024 წლის 29-30 ნოემბრის ღამე**
- **2024 წლის 30 ნოემბრის-1 დეკემბრის ღამე**
- **2024 წლის 1-2 დეკემბრის ღამე**
- **2024 წლის 2-3 დეკემბრის ღამე**
- **2024 წლის 3-4 დეკემბრის ღამე**
- **2024 წლის 6-7 დეკემბრის ღამე**

ასევე, 28 ნოემბრამდე, 2024 წლის 26 ოქტომბრის შემდგომ, პერიოდულად, სხვადასხვა ადგილზე იმართებოდა საპროტესტო აქციები არჩევნებზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი და სისტემური დარღვევების, მათ შორის, ხმის ფარულობის უფლების დარღვევის გასაპროტესტებლად და ახალი არჩევნების მოთხოვნით. ამ მშვიდობიანი შეკრების წინააღმდეგ სახელმწიფომ ძალადობრივი მეთოდები გამოიყენა. მაგალითად, 17 ნოემბრის საღამოდან 19 ნოემბრის დილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ელ კორპუსთან, ვარაზისხევის და ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან, უწყვეტად მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, რომელზეც აქციის მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა დადგეს დროებითი კონსტრუქციები და მშვიდობიანად მოითხოვდნენ ახალი არჩევნების ჩატარებას.

- **2024 წლის 19 ნოემბერს აქციის დაშლის საფუძველი არ არსებობდა. ის ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და ექცეოდა შეკრების თავისუფლების ფარგლებში.** 19 ნოემბერს, დილით, სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეებს მოუწოდეს, გაეთავისუფლებინათ ჭავჭავაძის გამზირისა და ვარაზისხევის მიმდებარე ტერიტორია და შეეწყვიტათ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე შეკრება, რის შემდეგაც მათ აქციის მონაწილეები ამ ტერიტორიიდან გაიყვანეს და ჭავჭავაძის გამზირისა და ვარაზისხევის მიმდებარე სივრცე ინვენტარისგან გაათავისუფლეს.[35] საპროტესტო აქცია, თავისი მასშტა-

[33] საია, „სიცრუა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება (00:37), რომ აქცია სრულად გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მოთხოვნებს და გახდა სრულად ძალადობრივი“, 01.12.24, https://gyla.ge/en/post/gancxadeba-shinagansaqmetasaministrosgancxadebaze, [27.12.2024].

[34] Frumkin v. Russia, no. 74568/12, 05.01.2026.

[35] საია, 19.11.2024, https://www.facebook.com/photo?fbid=985351203636902&set=a.485094683662559, [27.12.2024].

ბიდან გამომდინარე, იწვევდა გზის გადაკეტვას, ხოლო აღმართული დროებითი კონსტრუქციები და ინვენტარის (კარვები, მაგიდები, გამათბობლები) უმეტესი ნაწილი საჭირო იყო ცივ ამინდში თავის შესაფარებლად, ვინაიდან მონაწილეები მთელი ღამის განმავლობაში, ცივი ამინდის პირობებში, ღიაცის ქვეშ იმყოფებოდნენ. მაშინ, როდესაც დემონსტრაციას ძალადობრივი ხასიათი არ აქვს, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს მიმღებლობა დემონსტრაციის შედეგად გამოწვეული შეფერხებების მიმართ, რაც, შეიძლება, მათ შორის, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებაში გამოიხატოს.[36] ***აღსანიშნავია, რომ თავად აქციის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, არსებობდა იმის საშუალება, რომ, ქუჩების გადაკეტვის მიუხედავად, ავტომობილებს ალტერნატიული მარშრუტებით ესარგებლათ.***

- **2024 წლის 20 ნოემბრის დილასაც სამართალდამცავებმა საპროტესტო აქცია უსაფუძვლოდ დაშალეს.** მას შემდეგ, რაც 19 ნოემბრის საღამოს აქციის მონაწილეები თსუ-ს პირველ კორპუსთან დაბრუნდნენ,[37] 20 ნოემბრის დილას, შსს-მ აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს კვლავ გზის გათავისუფლებისკენ მოუწოდა და ამისთვის 15 წუთი მისცა,[38] რის შემდეგაც პროტესტის მონაწილეებმა ტერიტორია დატოვეს და მელიქიშვილის გამზირზე გადაინაცვლეს, სადაც საპროტესტო აქცია დასრულდა.[39]

[36] Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], no. 37553/05, პარ. 155, 15.10.2015.
[37] AP, Demonstrators return to Tbilisi protest after police in Georgia dismantle camp, 20.11.20224, https://www.youtube.com/watch?v=0BjR8cr04fY, [27.12.2024].
[38] შსს, განცხადება, 20.11.2024, https://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16465, [27.12.2024].
[39] RFE/RL's Georgian Service, Police Again Force Georgian Protesters Out Of Tbilisi University, 20.11.2024, https://www.rferl.org/a/tbilisi-protests-suspended-/33208977.html, [27.12.2024].

2. აქციების დარბევისთვის გამოყენებული საშუალებები არა მარტო არაპროპორციულია, არამედ, თავისი შინაარსით, უტოლდება ორგანიზებულ დანაშაულს

2.1. მშვიდობიანი დემონსტრანტების, ჟურნალისტების და დაკავებულების აბსოლუტური უფლების - წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის დარღვევა

2024 წლის 28 ნოემბრიდან საპოლიციო ძალების მიერ ძალადობის მასშტაბი და ორგანიზებულობა ამტკიცებს, რომ სახეზეა დანაშაულებრივი ოპერაცია სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ.[40] საყოველთაო, სისტემური და ფართომასშტაბიანი ხდება აქციის მონაწილეებისა და ჟურნალისტების მიმართ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები.[41] საყოველთაო გახდა ფიზიკური და ვერბალური ძალადობა დაკავებულების მიმართ, რომელიც პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში ხორციელდება.[42] ძალადობა ვრცელდება არა მხოლოდ დაკავებულებზე, არამედ იმ პირებზეც, რომლებიც თითქმის უგონო მდგომარეობაში არიან და სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ.[43] 500-მდე დაკავებულიდან აბსოლუტური უმრავლესობა გახდა როგორც ფიზიკური ძალადობის, ისე ფსიქოლოგიური ზეწოლის, ვერბალური შეურაცხყოფის მსხვერპლი.[44]

სახალხო დამცველის შეფასებითაც, *„[აქციაზე დაკავებულ მოქალაქეებს] მძიმე დაზიანებები, უმრავლეს შემთხვევაში, სახის, თვალის და თავის მიდამოში აქვთ მიღებული, რაც იმთავითვე პრაქტიკულად გამორიცხავს იმის ალბათობასაც კი, რომ პოლიცია, ყველა ჯერზე, მათ მიმართ საჭირო, პროპორციულ ძალას იყენებდა. დაზიანებების ლოკაცია, ხასიათი, ხარისხი სარწმუნო წარმოდგენას ქმნის იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიცია დასჯის მიზნით იყენებს მოქალაქეების მიმართ ძალადობრივ მეთოდებს. დასჯის მიზნით განზრახი, მძიმე ძალადობა წამების ქმედებას წარმოადგენს“.*[45]

დაკავებულების თქმით, სამართალდამცავები მათზე ძალადობდნენ როგორც დაკავების დროს, ასევე - დაკავების შემდეგაც. მათ რამდენიმე სპეცრაზმელი სცემდა ტრანსპორტირების პროცესშიც, მიკროავტობუსში.[46] ცემასთან ერთად, დაკავებულებს აფურთხებდნენ, აგინებდნენ, უყვიროდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ.[47] სპეცრაზმელები დაკავებულებს ხდიდნენ ფეხსაცმელებს და ბევრი მათგანი ფეხშიშველი მიიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში.[48] გარდა ამისა ართმევდნენ მობილურ ტელეფონებს და სთხოვდნენ კოდის მოხსნას.[49] ზოგ შემთხვევაში, დაკა-

---

[40] საია, ტერორის 10 დღე მშვიდობიანი პროტესტის წინააღმდეგ, 08.12.2024, https://gyla.ge/post/terororis10dge?fbclid=IwY2xjawHQvCdleHRuA2FlbQIxMAABHUPkdgRxSBbkTI4tDMXwaEF0SEoQW0wGPhzHd0n-w7B-BuT_ojVk1SjE5g_aem_OY01FCObpNMgBl8BxGxNyQ, [27.12.2024].

[41] იქვე.

[42] https://www.facebook.com/reel/624882676528176,[27.12.2024];
https://www.facebook.com/reel/604048285301413, [27.12.2024].

[43] „ტვ პირველი“, „სპეცრაზმი ახალგაზრდას სასტიკად უსწორდება“, 30.11.2024,
https://www.facebook.com/tvpirveli.ge/videos/598032512785906, [27.12.2024].

[44] არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის განცხადება დაკავებული პირების შესახებ, 01.12.2024, https://gyla.ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-qselis-gancxadeba-dakavebulebze, [27.12.2024].

[45] სახალხო დამცველის განცხადება, 03.12.2024,
https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/241203081257sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba, [27.12.2024].

[46] საია, „დაკავებულ მოქალაქეებს არაადამიანურად ეპყრობიან“, 02.12.2024,
https://gyla.ge/post/dakavebulebi-sastikad-nacemia, [27.12.2024].

[47] *იქვე.*

[48] *იქვე.*

[49] *იქვე.*

ვებულებზე ძალადობა გრძელდებოდა განყოფილებაშიც.[50] ერთ-ერთი დაკავებულის თქმით, ფიზიკური ძალადობით ცდილობდნენ მის იძულებას, რომ დანაშაული ეღიარებინა.[51]

ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის გამოყენების ტენდენციები:[52]

- *პოლიციელებმა გამოიყენეს გადამეტებული ძალა არა მხოლოდ ცალკეული პირების მიმართ, არამედ შეკრებების ყველა მონაწილის წინააღმდეგ, მიუხედავად მათი მშვიდობიანი ხასიათისა.*
- *პოლიცია ძალადობრივად ექცეოდა დემონსტრანტებს, რომლებიც წინააღმდეგობის ნიშნებს არ ავლენდნენ, მათ შორის, მუშტებით, ფეხებით და რეზინის ხელკეტებით ურტყამდნენ მიწაზე დაგდებულს.*
- *არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დეტალური ჩვენებების მიხედვით, პოლიციელები განაგრძობდნენ დაკავებულების მიმართ სასტიკ მოპყრობას სატრანსპორტო ფურგონებში. დემონსტრანტებს სცემდნენ, მათ შორის, სახის, თავის, ნეკნების არეში, ხოლო ე.წ. ზედამხედველი ოფიცრები, გავრცელებული ცნობით, აძლევდნენ მითითებებს დაქვემდებარებულებს, სად და რამდენ ხანს უნდა გაეგრძელებინათ ცემა.*
- *დაკავებებსა და შემდგომ ძალადობრივ ქმედებებში ჩართული პოლიციელები არ ატარებდნენ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს, როგორიცაა სამკერდე ნომრები ან სახელის და გვარის აღმნიშვნელი. ამან შეუქმნა დაუსჯელობის განცდა იმ პოლიციელებს, რომლებიც არასათანადო მოპყრობას ახორციელებდნენ.*
- *უცნობი პირები, რომლებიც დაუნდობლად ესხმოდნენ თავს ჟურნალისტებს, პროტესტის მონაწილეებს და სხვა პირებს, მოქმედებდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების პირდაპირი ან მდუმარე თანხმობით. სატელევიზიო კადრები ნათლად აჩვენებს კოორდინაციას ამ დაუდგენელ პირებსა და პოლიციას შორის, ასევე, სამართალდამცავების უმოქმედობას, როდესაც ეს პირები ძალადობრივ თავდასხმებს ახორციელებდნენ.*

2.2. აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების პრაქტიკა აღწევს არაადამიანური მოპყრობის ხარისხს

2024 წლის 28 ნოემბრიდან ყველა აქციის დარბევის ოპერაციისას სპეცრაზმი ხშირად იყენებდა ცრემლსადენ გაზს და წყლის ჭავლს უსაფუძვლოდ, ამასთანავე, ერთმანეთის პარალელურად და ამ საშუალებების უსაფრთხოდ გამოყენების წე-

[50] „პუბლიკა“, „ადვოკატი: ზურა დათუნაშვილის დაკავების დროს და შემდეგ იზოლატორში მასზე იძალადეს“, 05.12.2024, https://publika.ge/advokati-zura-datunashvilis-dakavebis-dros-da-shemdeg-izolatorshi-masze-idzalades/, [27.12.2024].

[51] „ნეტგაზეთი“, „აქამდე დემონსტრანტებს დაკავებისას და მანქანაში სცემდნენ, ახლა უკვე იზოლატორშიც — ადვოკატი“, 05.12.2024, https://netgazeti.ge/news/755077/, [27.12.2024].

[52] გარდა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის შეფასებები მიუთითებს პოლიციის მიერ ძალის გადამეტებულ გამოყენებაზე მშვიდობიანი დემონსტრაციების დაშლის პროცესში. იხ. Troika, OSCE Chairpersonship, Statement by the OSCE Troika on the Situation in Georgia, 13.12.2024, https://www.osce.org/chairpersonship/583315, [27.12.2024]; ასევე, Office of the High Commissioner for Human Rights, Türk calls on Georgian authorities to protect freedoms of expression and assembly amid violence, 02.12.2024, https://www.ohchr.org/en/press-releases/2024/12/turk-calls-georgian-authorities-protect-freedoms-expression-and-assembly, [27.12.2024]; ასევე, CoE, Commissioner for Human Rights, Georgian authorities must fulfil their obligation to uphold the right of peaceful assembly, 04.12.2024, https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgian-authorities-must-fulfil-their-obligation-to-uphold-the-right-of-peaceful-assembly, [27.12.2024].

სების[53] უგულებელყოფით.[54] ცრემლსადენი გაზის კაფსულებს ისროდნენ დიდი რაოდენობით და ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანთა ჯგუფი მჭიდროდ დგას ერთად, რაც ქმნიდა მათი პირდაპირი დაზიანების რეალურ რისკს. კაფსულები ისროლეს ასევე შენობების სახურავებიდანაც, მათ შორის, არაერთმა მოქალაქემ აღნიშნა, რომ კაფსულების გასროლა ხდებოდა რუსთაველის ეროვნული თეატრის სახურავიდანაც. გარდა ამისა, დაბალი ტემპერატურის პირობებში დისპროპორციულად იყენებენ წყლის ცივ ჭავლს.[55]

შსს წყლის ჭავლში ქიმიურ ნივთიერებს ურევდა,[56] რაც გაცილებით დიდ ზიანს იწვევს.[57] აქციაზე მყოფი არაერთი მოქალაქე აღნიშნავდა გამოყენებული სპეციალური საშუალებების განსაკუთრებით მავნე ზემოქმედებას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მიუხედავად საიას მოწოდების, შსს-ს გაესაჯაროებინა, რა საშუალებებს იყენებდა, რათა დაზარალებულ ადამიანებთან დაკავშირებით სამედიცინო პერსონალს მაინც ჰქონოდა ჯეროვნად რეაგირების შესაძლებლობა, შსს კვლავ აგრძელებდა საზოგადოებისთვის უცნობი ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.[58]

გარდა სპეციალური საშუალებებისა, 2024 წლის 28 ნოემბრიდან **სპეციალური დანიშნულების რაზმებმა მიმართეს ალყაში მოქცევის ტაქტიკას,** როდესაც ისინი რამდენიმე მხრიდან იწყებდნენ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ სპეციალური საშუალებების გამოყენებას, ძალადობას და დაკავებებს.[59] ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით, ამგვარი ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გამოყენებული, როდესაც ის არის პროპორციული.[60] წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებულია სხვა სპეციალური საშუალებები, მსგავსი ტაქტიკა აქციის მონაწილეებს უქმნის ჯანმრთელობისა ან სხვა ზიანის დისპროპორციულ საფრთხეს.[61] იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმები უკვე იყენებდნენ სხვა სპეციალურ საშუალებებს დისპროპორციულად, მსგავსი ტაქტიკა არღვევს არა მარტო შეკრების თავისუფლებას, არამედ არის **დემონსტრანტების ფსიქოლოგიური ტერორის იარაღი.**

---

[53] *დარბევის ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორებიცაა წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, მოითხოვს მაღალი სტანდარტით დასაბუთებას. ცრემლსადენი გაზის გამოყენება, უნდა ექვემდებარებოდეს მკაფიო წესებს და უნდა არსებობდეს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალდამცავი პერსონალის კონტროლსა და ზედამხედველობას დემონსტრაციების დროს. ასევე, ძალის გამოყენება უნდა შეფასდეს აუცილებლობის, პროპორციულობის და გონივრულობის კრიტერიუმებით, განსაკუთრებით, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ წევენ ძალადობრივ წინააღმდეგობას.* İzci v. Turkey, no. 42606/05, 23.07.2013.

[54] საია, *„მთელი ღამის განმავლობაში სპეცრაზმი ათზე მეტ დროით ეპიზოდში კვლავ განაგრძობდა სპეციალური საშუალებების გამოყენებას მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, მათ შორის, წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის“,* 02.12.24, https://gyla.ge/post/2dekemberigancxadeba, [27.12.2024].

[55] საია, „რუსთაველის გამზირზე მიმდინარე პროტესტის დარბევა კვლავ ჩვეული უკანონო და არაპროპორციული ძალის გამოყენებით მიმდინარეობს“, 29.11.2024, https://gyla.ge/post/%20Darebva-kvlav-araprprciuli-zaliat-da-ukanonod-mimdinareobs, [27.12.2024].

[56] *იქვე.*

[57] Chemical Irritants In Law Enforcement An Amnesty International Position Paper, 2021.

[58] საია, „3-4 დეკემბერს, ლეგიტიმური პროტესტის მე-6 დღეს, შსს-მ კვლავ ძალადობის გზით სცადა დემონსტრანტების დარბევა“, 04.12.24, https://gyla.ge/post/3-4-dekembris-darbevis-Sefaseba-GYLA, [27.12.2024].

[59] საია, „3-4 დეკემბერს, ლეგიტიმური პროტესტის მე-6 დღეს, შსს-მ კვლავ ძალადობის გზით სცადა დემონსტრანტების დარბევა“, 04.12.24, https://www.facebook.com/GYLA.ge/posts/pfbid033rhvuFK2pDc6dgp1zqdtH1e4wXjziStPnip3xbV4SjaoBtMJiHJxjghVViAkdYY4l, [27.12.2024].

[60] General comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly. 2020.

[61] Austin and Others v. the United Kingdom, nos. 39692/09, 40713/09 and 41008/09, 15.03.2012.

ტენდენციები:

- *ცრემლსადენი გაზის, წყლის ჭავლისა და წიწაკის სპრეის, როგორც ცალ-ცალკე, ასევე კომბინაციაში გამოყენება, იყო უკანონო და არაპროპორციული, განსაკუთრებით, მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ.*
- *ცრემლსადენი გაზის ყუმბარების გამოყენებისას, გამოვლინდა სამართალდამცავთა მიერ მათი გამოყენების წესების დარღვევა. ზოგ შემთხვევაში, ყუმბარების ჰაერში ბალისტიკური ტრაექტორიით გასროლის ნაცვლად, ისინი პირდაპირ დემონსტრანტებისკენ მიმართეს, რამაც მნიშვნელოვანი დაზიანებები გამოიწვია.*[62]
- *ალყაში მოქცევის უკანონო ტაქტიკის გამოყენება.*

[62] 3 დეკემბრის აქციაზე დაშავდა 22 წლის კაცი, ალექსი თირქია, რომელსაც სახის არეში სავარაუდოდ სპეცრაზმის მიერ ნასროლი გაზის კაფსული მოხვდა. ის კლინიკაში შეიყვანეს სკალპის ღია ჭრილობით, შუბლის ძვლისა და თვალ-ბუდის მოტეხილობით, ასევე ტვინის გარსებში სისხლჩაქცევით. მას ოპერაცია დაუყოვნებლივ, ინგროროყვას კლინიკაში შეყვანისთანავე ჩაუტარდა და მას შემდეგ რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებოდა. 10 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი ხელოვნური კომიდან გამოიყვანეს, ხოლო კლინიკა 19 დეკემბერს დატოვა. იხ. „ნეტგაზეთი“, „ალექსი თირქია ხელოვნური კომიდან გამოიყვანეს, თუმცა რეანიმაციაში რჩება“, 10.12.2024, https://netgazeti.ge/news/755684/, [27.12.2024], „ინტერპრესნიუსი“, „აქციაზე დაშავებული 22 წლის ალექსანდრე თირქია კლინიკიდან გაწერეს“, 20.12.2024, https://www.interpressnews.ge/ka/article/825538-akciaze-dashavebuli-22-clis-aleksandre-tirkia-klinikidan-gaceres/, [27.12.2024].

3. აქციების დაშლის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუარესება

2024 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და მინისტრის მოადგილემ ინტერვიუებში განაცხადეს, რომ 2021 წლის 11 ივლისს დამტკიცდა შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის ახალი სახელმძღვანელო ინსტრუქცია და გაუქმდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანება.[63] **მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით,[64] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია კვლავ ძალაშია, თუმცა მასში შესულია გარკვეული ცვლილებები, რომლებიც აუარესებს შეკრებების და მანიფესტაციების მართვის სტანდარტს. აღსანიშნავია, რომ ეს ბრძანება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და მისი გაცნობა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნით არის შესაძლებელი, რაც რეალურ დროში ბრძანების ტექსტის მონიტორინგს აბრკოლებს, შედეგად, არღვევს საკანონმდებლო აქტების საჯაროობის პრინციპს.** შემდეგ ქვეთავებში მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც ბრძანებაში შევიდა.

წყლის ჭავლში ცრემლსადენი გაზის შერევა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის ძველი რედაქციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს **ეკრძალებოდა *„შეკრებისა/მანიფესტაციის მონაწილეთა მიმართ წყლის ჭავლის, რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის ერთდროულად ან პარალელურ რეჟიმში გამოყენება.“*** <u>**ინსტრუქციის მოქმედი რედაქციიდან ეს აკრძალვა ამოღებულია.**</u>

2024 წლის აპრილი-მაისის პერიოდში, რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებზე, შსს ერთდროულად იყენებდა აქტიურ სპეციალურ საშუალებებს,[65] მათ შორის, წყლის ჭავლს და ცრემლსადენ გაზს.[66] **2024 წლის 21 ოქტომბერს შსს-მ განცხადებით დაადასტურა, რომ რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებზე წყლის ჭავლში ცრემლსადენ გაზს ურევდა.[67]** ამ პრაქტიკის მხარდასაჭერად სამინისტრომ არასწორად, მანიპულაციურად მოიყვანა ციტატა „ამნესტი ინთერნეიშენალის“ სახელმძღვანელოდან.[68] **სინამდვილეში, „ამნესთი ინთერნეიშენალის“ განმარტე-**

---

[63] „პუბლიკა“, „გომელაურის თქმით, 2021 წელს დასაშვები გახდა აქციის დაშლისას წყლის ჭავლისა და ცრემლმდენი გაზის ერთდროულად გამოყენება“, 24.10.2024, https://publika.ge/gomelauris-2021-wels-dsashvebi-gakhada-aqciis-dashlisas-wylis-chavlisa-da-cremlmdeni-gazis-ertdroulad-gamoyeneba/, [27.12.2024]; „ტაბულა“, „დარახველიძე: ჭავლს და გაზს ერთად ვიყენებთ, რომ აქცია მოძალადე მონაწილეებმა უსაფრთხოდ დატოვონ, 24.10.2024, https://tabula.ge/ge/news/724740-darakhvelidze-chavls-gazs-ertad-viqenebt-rom, [27.12.2024].

[64] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 30 ოქტომბრის წერილი MIA 8 24 03311612.

[65] საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში“, 2024, 13, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf_01722589845.pdf, [27.12.2024].

[66] *იქვე*.

[67] შსს-ს განცხადება, 21.10.2024,
https://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16444, [27.12.2024].

[68] საია, „საია წყლის ჭავლში ცრემლსადენი გაზის შერევის შესახებ შსს-ს განცხადებას ეხმიანება“, 21.10.2024, https://www.gyla.ge/en/post/saia-Shinagan-saqmeta-saministros-gancxadebaze-21octomberi, [27.12.2024].

ბით, წყლის ჭავლში ცრემლსადენი გაზის ან საღებავის შერევა აკრძალული უნდა იყოს.[69] ამგვარი პრაქტიკა ძალიან პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო:

- უცნობია, რა არის წყალში ქიმიური გამაღიზიანებლის დასაშვები კონცენტრაციის დონე, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოშობს.[70]
- ქიმიურმა გამაღიზიანებლებმა უნდა უზრუნველყოს დემონსტრანტების დაშლა კონკრეტული ტერიტორიიდან. როდესაც ტანსაცმელი ქიმიური გამაღიზიანებლით იჟღინთება, ადამიანს აღარ შეუძლია მისი ზემოქმედებისგან გაქცევა.[71]
- როდესაც ადამიანის ტანსაცმელი იჟღინთება, შეუძლებელია, გაკონტროლდეს ქიმიური გამაღიზიანებლის ადამიანზე ზემოქმედების ხარისხი და ხანგრძლივობა.[72] იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის რისკები იზრდება ქიმიური საშუალებების კონცენტრაციის და ზემოქმედების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, წყლისა და ქიმიური საშუალებების შერევა არღვევს სამართალდამცავთა ვალდებულებას, მოახდინონ ზიანის მინიმუმამდე შემცირება.[73]
- წყლის ჭავლში ქიმიკატების შერევა არარეკომენდებული პრაქტიკაა გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის სახელმძღვანელოს მიხედვითაც, რადგან ეს შეიცავს დაზიანების, მათ შორის, ხანგრძლივი ფიზიკური ტკივილის გამოწვევის ბევრად მაღალ რისკს.[74]

შესაბამისად, შს მინისტრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციიდან ამ აკრძალვის ამოღებით, შეკრებების მართვის სტანდარტი ცალსახად გაუარესდა.

უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა

ინსტრუქციის მე-5 მუხლი ითვალისწინებს შეკრებისა და მანიფესტაციის დროს უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულებას. დღეს მოქმედი რედაქციით, ეს გეგმა უნდა შემუშავდეს შემდეგი წინაპირობების **კუმულატიურად არსებობის შემთხვევაში:** „როდესაც არსებობს სპეციალური ღონისძიებების ჩატარების, აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების და, ამასთანავე, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ჩართვის აუცილებლობა“. ძველი რედაქციით, გეგმის შემუშავებისთვის ეს წინაპირობა არ იყო გათვალისწინებული.

ინსტრუქციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დღეს მოქმედი რედაქცია:

„როგორც წესი, შეკრების/მანიფესტაციის დროს, როდესაც არსებობს სპეციალური ღონისძიებების ჩატარების, აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების და, ამასთანავე, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ჩართვის

---

[69] Amnesty International, CHEMICAL IRRITANTS IN LAW ENFORCEMENT AN AMNESTY INTERNATIONAL POSITION PAPER, 2021, 20, https://www.amnesty.nl/content/uploads/2021/07/Amnesty-position-paper-chemical-irritants.pdf, [27.12.2024].
[70] *იქვე.*
[71] *იქვე.*
[72] *იქვე.*
[73] *იქვე.*
[74] UNODC, OHCHR, Resource book on the use of force and firearms in law enforcement, 2017, 90, https://www.ohchr.org/sites/default/files/UseOfForceAndFirearms.pdf, [27.12.2024].

უცილებლობა, მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა. სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შემთხვევაში, უსაფრთხოების გეგმის შემუშავება ხორციელდება სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის დაწყებიდან გონივრულ ვადაში. უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა მუშავდება სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მიერ, სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან კოორდინაციით".

ინსტრუქციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ძველი რედაქცია:

„როგორც წესი, შეკრების/მანიფესტაციის დროს მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა. სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შემთხვევაში კი უსაფრთხოების გეგმის შემუშავება ხორციელდება სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის დაწყებიდან გონივრულ ვადაში".

მოქმედი მოწესრიგების პირობებში, სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს მას შემდეგ, რაც წარმოიშობა სპეციალური ღონისძიებების ჩატარების, აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების და გდდ-ის ჩართვის აუცილებლობა. ასეთ ვითარებაში, თუნდაც დროის სიმცირის გამო, შესაძლოა, ვერ მოხერხეს გეგმის სრულყოფილად შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აქციის უსაფრთხოდ მართვის სტანდარტი. თანაც, **როდესაც შეიძლება დღის წესრიგში დადგეს აქტიური სპეციალური საშუალებების კანონის შესაბამისად გამოყენების აუცილებლობა, რა დროსაც ძალიან სწრაფად, წამებშიც კი ხორციელდება მოქმედება, ობიექტურად შეცნობადია, რომ ამ დოკუმენტის შედგენას უკვე *post factum* ეფექტი აქვს და ის ვეღარ ჩაითვლება, როგორც *pre factum* მოქმედების გეგმა.**

ამასთანავე, ძველი რედაქციით, ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, ***სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა ყოფილიყო მონაცემები „გაუთვალისწინებელი სიტუაციის შექმნისას მოქმედების ალტერნატიული ვარიანტების თაობაზე". დღეს მოქმედი რედაქციიდან ეს მოთხოვნა საერთოდ ამოღებულია.***

გარდა ამისა, ინსტრუქციის ძველი რედაქცია ითვალისწინებდა გეგმაში მონაცემების ასახვის ვალდებულებას „არსებულ რისკებთან დაკავშირებით", ასევე, „სტაციონარული და მობილური სამედიცინო დახმარების პუნქტების თაობაზე".[75] ***დღეს მოქმედი რედაქციით, ეს მოთხოვნები აღარ არის გათვალისწინებული.*** მათ ნაცვლად, მოცემულია უფრო ზოგადი და ბუნდოვანი მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც, სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს „არსებული ვითარების მოკლე აღწერას" და „სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხებს".[76]

სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ახალ რედაქციაში მოცემულია მცირე პოზიტიური ცვლილებებიც, მაგალითად, დამატებულია მოთხოვნა, რომ გეგმა შეიცავდეს ღონისძიების მიზანს, ამოცანას და მისი სამართლებრივი საფუძვლების შესახებ მონაცემებს,[77] თუმცა, **ზემოთ აღწერილი სხვა ცვლილებების გათვალისწინებით, უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შემუშავების სტანდარტი *ცალსახად გაუარესებულია.***

[75] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის" ძველი რედაქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" და „კ" ქვეპუნქტები.

[76] იქვე, მე-5 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის „ე" და „ვ" ქვეპუნქტები.

[77] იქვე, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „დ" და „ვ" ქვეპუნქტები.

სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ინსტრუქციის ძველი რედაქციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ცრემლსადენი გაზის, წიწაკის გაზის ჭურვებისა და ხელყუმბარების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებდა სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით. ***ამ ნორმის დღეს მოქმედი რედაქციიდან მინისტრთან შეთანხმების ვალდებულება ამოღებულია.***

ინსტრუქციიდან ამოღებულია ნორმა, რომლის მიხედვითაც, იკრძალებოდა ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობის აფეთქება პირის სხეულის უშუალო სიახლოვეს.[78]

ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა (flashbangs, stun grenades) არის ფეთქებადი მოწყობილობა, რომელიც შეიძლება გაისროლონ იარაღიდან ან ხელით. აფეთქებისას ის გამოყოფს ძლიერ ხმას ან/და კაშკაშა სინათლეს.[79]

- მისი მიზანი ადამიანების დისორიენტაციაა.[80]
- აფეთქებისას მოწყობილობამ შეიძლება გაისროლოს ბასრი ნამსხვრევები ისეთი ენერგიით, რომ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დაზიანება და სიკვდილიც კი.[81]
- ასევე, შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა, სმენის და მხედველობის დაზიანება, ფსიქოლოგიური ტრავმა.[82]

ნაკლებად ლეტალური იარაღების შესახებ გაეროს სახელმძღვანელოს მიხედვით, ჩამოთვლილი მიზეზების გამო, შუქბგერითი მოწყობილობის გამოყენება უშუალოდ ადამიანის წინააღმდეგ უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.[83]

შესაბამისად, ინსტრუქციიდან პირის სხეულის უშუალო სიახლოვეს ამ მოწყობილობის აფეთქების აკრძალვის ამოღება *მნიშვნელოვნად უარესებს* ამ საშუალების გამოყენების სტანდარტს.

შეკრებებზე ნიღბის ტარების აკრძალვა

2024 წლის 8 დეკემბერს ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ იგეგმებოდა კანონის მიღება, „რომლითაც აიკრძალება შეკრების მონაწილეების, მათ შორის, კონტრშეკრების მონაწილეების მიერ სხვადასხვა საშუალებით სახის დაფარვა“.[84] მისი გა-

---

[78] აღნიშნული აკრძალვა გათვალისწინებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ ძველი რედაქციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით.

[79] OSCE/ODIHR, Guide on Law Enforcement Equipment Most Commonly Used in the Policing of Assemblies, 2021, 68, https://www.osce.org/files/f/documents/4/7/491551_0.pdf, [27.12.2024].

[80] *იქვე*.

[81] *იქვე*, 69-70.

[82] *იქვე*.

[83] OHCHR, UNITED NATIONS HUMAN RIGHTS GUIDANCE ON LESS-LETHAL WEAPONS IN LAW ENFORCEMENT, 2020, 22, https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/HRBodies/CCPR/LLW_Guidance.pdf, [27.12.2024].

[84] IPN, „ირაკლი კობახიძე - მივიღებთ კანონს, რომლითაც აიკრძალება შეკრების მონაწილეების მიერ სხვადასხვა საშუალებით სახის დაფარვა, კანონი თვის ბოლომდე სრულად ამოქმედდება“, 08.12.2024, https://www.interpressnews.ge/ka/article/823937-irakli-kobaxize-mivigebt-kanons-romlitac-aikrzaleba-shekrebis-monacileebis-mier-sxvadasxva-sashualebit-saxis-daparva-kanoni-tvis-bolomde-srulad-amokmeddeba/, [27.12.2024].

ნცხადებით, კანონის მიზანი ძალადობის პრევენციაა.[85]

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციებზე ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა პროტესტს გამოხატავს მშვიდობიანად.[86] ამას ადასტურებს ***ეუთო***[87] და ***ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი***[88] საკუთარ შეფასებებში. ხოლო ის კრიმინალური, ნიღბიანი დაჯგუფებები, რომლებიც ირაკლი კობახიძემ „კონტრაქციის მონაწილეებად"[89] მოიხსენია, არიან სახელმწიფოსთან დაკავშირებული პირები, რომლებიც სახელმწიფოს თანხმობით/ხელშეწყობით მოქმედებენ, რაზეც მათ მიერ ჩადენილ ძალადობაზე პოლიციის უმოქმედობაც მიუთითებს.[90] ამას ადასტურებს ასევე საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია ***Amnesty International*** თავის შეფასებაში.[91]

რაც შეეხება უშუალოდ ნიღბების აკრძალვას, ეს ინიციატივა (რომელიც 13 დეკემბერს პარლამენტმა უკვე მესამე მოსმენით მიიღო) ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ მიმართული მორიგი ნაბიჯია და მიზნად ისახავს მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიული მექანიზმების გამოყენების გაადვილებას. ცვლილებების მიხედვით, სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა იქნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

ხაზგასასმელია, რომ *აქციის მონაწილეების მიმართ ანგარიშსწორების,*[92] *კრიმინალური დაჯგუფებების მიერ მათზე შეტევის, სამართალდამცავების მხრიდან უსაფუძვლო დაკავების, მათ შორის, სახლებიდან და ოფისებიდან მათი უკანონო გადაყვანისა და საჯარო სამსახურებში არსებული ზეწოლის გათვალისწინებით,*[93] *ბუნებრივია, რომ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები აქციაზე ყოფნის დროს საკუთარი ვინაობის დაფარვას ცდილობენ, რათა თავიდან აიცილონ უკანონო, რეპრესიული ანგარიშსწორება, ამასთანავე, თავი დაიცვან იმ ქიმიური გამაღიზიანებლებისგან, რომელთა შემადგენლობასაც შსს არ ასაჯაროებს და მას უკანონოდ, არაპროპორციულად იყენებს.*

განსაკუთრებით ამ პირობების გათვალისწინებით, შეკრებების და მანიფესტაციების დროს ნიღბის ტარებაზე ბლანკეტური აკრძალვა არღვევს როგორც შეკრების,

---

[85] *იქვე.*

[86] *იქვე;* ასევე: OSCE human rights office condemns use of excessive force by police during protests in Georgia, 30.11.2024, https://www.osce.org/odihr/581962?fbclid=IwY2xjawHCHQNleHRuA2FlbQIxMQABHQR9IheQTVJCFJ3oLK1xeP8PAfXi3iaEjQgzCmSJ_XIMYl0IstC5tLMPHg_aem_XXvlpTvRDJK4xDqh5nHi8A, [27.12.2024].

[87] OSCE human rights office condemns use of excessive force by police during protests in Georgia, 30.11.2024, https://www.osce.org/odihr/581962, [27.12.2024].

[88] CoE, Commissioner for Human Rights, Georgian authorities must fulfil their obligation to uphold the right of peaceful assembly, 04.12.2024, https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/georgian-authorities-must-fulfil-their-obligation-to-uphold-the-right-of-peaceful-assembly, [27.12.2024].

[89] IPN, „ირაკლი კობახიძე - მივიღებთ კანონს, რომლითაც აიკრძალება შეკრების მონაწილეების მიერ სხვადასხვა საშუალებით სახის დაფარვა, კანონი თვის ბოლომდე სრულად ამოქმედდება", 08.12.2024, https://www.interpressnews.ge/ka/article/823937-irakli-kobaxize-mivigebt-kanons-romlitac-aikrzaleba-shekrebis-monacileebis-mier-sxvadasxva-sashualebit-saxis-daparva-kanoni-tvis-bolomde-srulad-amokmeddeba, [27.12.2024].

[90] საია, „არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მაღალი თანამდებობის მქონე პირების ხელშეწყობით / მათი თანხმობით მოქმედებენ", 08.12.2024, https://gyla.ge/post/araformaluri-sadamsjelo-jgufebi-gyla-ganckhadeba, [27.12.2024].

[91] Amnesty International, Georgia: Police committing shocking human rights violations amid ongoing crackdown on protesters, 13.12,2024, https://www.amnesty.org/en/latest/news/2024/12/georgia-police-committing-shocking-human-rights-violations-amid-ongoing-crackdown-on-protesters/, [27.12.2024].

[92] ხელისუფლების მიერ პროტესტის წინააღმდეგ გამოყენებული რეპრესიული მექანიზმების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ: საია, „ტერორის 10 დღე მშვიდობიანი პროტესტის წინააღმდეგ", 08.12.2024, https://gyla.ge/post/terororis10dge, [27.12.2024].

[93] *იქვე.*

ისე გამოხატვის თავისუფლებას, იმავდროულად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს ადამიანის უფლებების სფეროში.

საკანონმდებლო ცვლილების დეტალური ანალიზის კუთხით, აღსანიშნავია, რომ რუსეთში ამოქმედებულ მსგავს საკანონმდებლო რეგულაციასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ მშვიდობიანი შეკრებისას ნებისმიერი ნიღბის ტარებაზე ბლანკეტური აკრძალვა შეკრების თავისუფლების არაპროპორციულ შეზღუდვად შეაფასა.[94] ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის თანახმად, არ უნდა არსებობდეს ბლანკეტური ან რუტინული აკრძალვა შეკრებაზე ნიღბის ტარებასთან დაკავშირებით.[95]

- **შეკრებაზე ნიღბის ტარება შეიძლება იყოს გამოხატვის და კომუნიკაციის ფორმა, რომელიც დაცულია სიტყვისა და შეკრების თავისუფლებებით.[96]**
- **ნიღბის ტარება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სხვა ლეგიტიმურ მიზანთან, მაგალითად, ემსახურებოდეს შემდგომი ანგარიშსწორებისგან თავდაცვას.[97]**
- **დემონსტრაციაზე ნიღბის ტარება არ უნდა იყოს აკრძალული, თუ არ არსებობს მყისიერი ძალადობის აშკარა მტკიცებულება.[98]**
- **პირს არ უნდა მოსთხოვონ, მოიხსნას ნიღაბი, თუ მისი ქცევა არ ქმნის სავარაუდო დაკავების საფუძველს.[99]**

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის მიხედვით, ასეთი შეზღუდვა ხშირად გამოიყენება კონკრეტული ჯგუფების მიზანში ამოსაღებად და მათი შეკრების თავისუფლების არასათანადოდ შესაზღუდად.[100] სპეციალური მომხსენებლის განმარტებით, არსებობს ლეგიტიმური და არაკრიმინალური მიზნები, რის გამოც, დემონსტრანტები ნიღბებს ატარებენ, მათ შორისაა აქციაში მონაწილეობისთვის ანგარიშსწორების შიში.[101]

მსგავსი ბლანკეტური აკრძალვა შეუთავსებელია ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთანაც. საქმეზე *Ibragimova v. Russia* სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა მე-11 მუხლის (შეკრების თავისუფლების) შუქზე, რადგანაც ეროვნულმა ორგანოებმა, სოლო დემონსტრაციის მოწყობისას ნიღბის ტარების გამო, პირს ბლანკეტურად, ინდივიდუალური გარემოებების შეფასების გარეშე დააკისრეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.[102] შესაბამისად, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები ცალსახად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

---

[94] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OPINION ON FEDERAL LAW NO. 65-FZ OF 8 JUNE 2012 OF THE RUSSIAN FEDERATION, Opinion no. 686/2012, CDL-AD(2013)003, 11 March 2013, par. 28, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2013)003-e, [27.12.2024].

[95] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), CDL-AD(2019)017rev, 15 July 2020, par. 153.

[96] *იქვე*.

[97] *იქვე*.

[98] *იქვე*.

[99] *იქვე*.

[100] Report of the Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association, Maina Kiai, A/HRC/26/29, 14 April 2014, https://documents.un.org/doc/undoc/gen/g14/134/75/pdf/g1413475.pdf, [27.12.2024].

[101] *იქვე*.

[102] Ibragimova v. Russia, no. 68537/13, 30.08.2022.

ხსენებული ინიციატივა განსაკუთრებით ცინიკურია მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო სტანდარტის[103] საწინააღმდეგოდ, არ უზრუნველყოფს სპეციალური რაზმის წევრების აღჭურვას მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით, რაც მათ დაუსჯელობას იწვევს და ძალადობას ახალისებს.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ ამ ცვლილებით ცდილობს, ადამიანები კიდევ უფრო დაუცველი გახადოს იმ ტერორის მიმართ, რომლის დამყარებაც ლეგიტიმური და მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობად სურს.

ცვლილებები „პოლიციის“ შესახებ საქართველოს კანონში

„პოლიციის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები[104] ითვალისწინებს შესაძლებლობას, პირები პოლიციის რიგებში კონკურსის გავლის გარეშე დაინიშნონ. დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.[105]

ცვლილებები მიზნად ისახავს პოლიციის იმ გასამხედროებული დანაყოფების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებას, რომლებშიც სამხედრო წოდების მქონე პირები მსახურობენ. 2025 წლის 1-ლი იანვრიდან სამხედრო სამსახური მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში დარჩება, რაც, განმარტების მიხედვით, ითხოვს გარკვეული პოზიციების შევსების სპეციფიკური რეგულაციების დაწესებას. მიუხედავად ამისა, ეს ცვლილება მხოლოდ გასამხედროებულ დანაყოფებს არ ეხება და მინისტრს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას, კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი გაავრცელოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულზე. ეს ქმნის რისკს, რომ ნორმა გამოყენებული იქნება პოლიციის პოლიტიზებისთვის.[106]

ეს ცვლილებები, შესაძლოა, ხელისუფლების ძალადობრივი პოლიტიკის გამტარებელი კადრებით პოლიციის დაკომპლექტების გასაადვილებლად იყოს გამოყენებული.[107]

---

[103] Tsaava and Others v. Georgia, no. 13186/20, 07.05.2024, par. 223.

[104] კანონპროექტი: „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, https://info.parliament.ge/#law-drafting/29790, [27.12.2024].

[105] საია, „ქართული ოცნება“ კანონმდებლობაში არადემოკრატიული და რეპრესიული ცვლილებების შეტანას ცდილობს, 12.12.2024, https://gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-gyla?fbclid=IwY2xjawHSojpleHRuA2FlbQIxMAABHf4O0EUX7nSUPpOVvNdfXvT8IUMACjTfxZ1LG15KlxULkYu8XspV4Utt3A_aem_ojbpf0SGa9GlpJIFH32NtQ , [27.12.2024].

[106] *იქვე*.

[107] *იქვე*.

4. მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალის გამოყენების მიზანი – მედიის ფუნქციონირების ხელშეშლა, მათ შორის, მათ მიერ დანაშაულების ამსახველი ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალის გავრცელების შეზღუდვა

2024 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე აქციების დარბევისას მედია განსაკუთრებული სამიზნეა. პროტესტის დაწყების დღიდან ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის, აპარატურის დაზიანების, დისპროპორციული ძალის გამოყენებისა და ძალადობის 91 შემთხვევა გამოვლინდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მიმართულია კრიტიკული მასმედიისა და ციფრული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ.[108] ჟურნალისტების საქმიანობაში მიზანმიმართული ხელშეშლის შემთხვევები, მათ შორის, მათ მიმართ წყლის ჭავლის გამოყენება და კამერების განზრახ დამტვრევა, ასევე, ფიზიკური ძალადობა და დაკავება აქციების თანმდევია, რაც მიუთითებს საპოლიციო ძალების ინტერესზე, არ გაშუქდეს შეკრებების ძალადობრივი დარბევა და სხვა დარღვევები.[109]

მედია განსაკუთრებული სამიზნე იყო საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული პირველი საპროტესტო ტალღის დროსაც. *სამართალდამცავები აგრესიით გამოირჩეოდნენ ჟურნალისტების მიმართ.*[110] *გამოვლინდა ჟურნალისტებზე ძალადობისა და საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები.*[111] ხელი შეუშალეს და ფიზიკურად იძალადეს „მთავარი არხის“ ოპერატორ სერგი ბარამიძეზე. მას რამდენიმე პოლიციელი დაუპირისპირდა. დაუმტვრიეს კამერა და შემდგომ დააკავეს.[112] გავრცელდა ინფორმაცია „პუბლიკის“ ჟურნალისტის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებაც.[113]

---

[108] List of incidents involving Georgian media representatives, The Georgian Charter of Journalistic Ethics, 16.12.2024, https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/99312 [23.12.2024].

[109] საია, „მთელი ღამის განმავლობაში სპეცრაზმი ათზე მეტ დროით ეპიზოდში კვლავ განაგრძობდა სპეციალური საშუალებების გამოყენებას მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, მათ შორის, წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის“, 02.12.24. https://gyla.ge/post/2dekemberigancxadeba, [27.12.2024]. დემოკრატიულ საზოგადოებაში მედია, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტი, სასიცოცხლო როლს ასრულებს. მედიის „ძირითადი ფუნქცია“ მოიცავს საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ხასიათის შეკრებებისა და მანიფესტაციების გაშუქებას და აქციაზე განვითარებული მოვლენების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. **სამართალდამცავები ვალდებულნი არიან, აქციის მიმდინარეობისას მედიის წარმომადგენლებს ხელი არ შეუშალონ მუშაობის პროცესში, არამედ, პირიქით, ხელი შეუწყონ მიმდინარე მოვლენების გაშუქებაში.**

[110] საია, „საია მელიქიშვილის გამზირზე მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ ძალადობისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლის ფაქტებს ეხმიანება“, 19.11.2024, https://gyla.ge/post/GYLA-melikishvili-gancxadeba [27.12.2024].

[111] *იქვე*.

[112] *იქვე*. ასევე, კადრები რომლებიც ასახავს „მთავარის” ოპერატორის ძალადობრივ დაკავებას, https://www.facebook.com/TVFormula/videos/357100950793721, [27.12.2024].

[113] საია, „საია მელიქიშვილის გამზირზე მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ ძალადობისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლის ფაქტებს ეხმიანება“, 19.11.2024, https://gyla.ge/post/GYLA-melikishvili-gancxadeba, [27.12.2024].

5. არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფებების ჩართულობა პროტესტის წინააღმდეგ

მზარდია ძალადობრივი დაჯგუფებების მხრიდან ჟურნალისტებსა და დემონსტრანტებზე თავდასხმის ფაქტები. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები, ასევე, 2024 წლის აპრილ-მაისში ამგვარი დანაშაულებრივი პრაქტიკის გამოყენება გვარწმუნებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები არაფორმალურ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ალიანსში მოქმედებენ.

ეს არის ტაქტიკა, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფოს ოფიციალური ინსტიტუტებისა და მაღალი თანამდებობის პირების მიერ წახალისებული არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებები. ამ უკანასკნელთა მიზანია საპროტესტო მოძრაობების მხარდამჭერებსა თუ ჟურნალისტებზე ძალადობა და მათი დაშინება. მეტიც, ასეთი ფაქტების სიმრავლე და პოლიციის სრული უმოქმედობა მიუთითებს, რომ დანაშაულის პრევენციაზე, აღკვეთასა და რეაგირებაზე უფლებამოსილი პირების მხრიდან არსებობს წინასწარი თანხმობა სადამსჯელო დაჯგუფებების მიერ დანაშაულის ჩადენაზე.

ამ ტაქტიკას პირველად 2024 წელს, აპრილ-მაისის აქციების დარბევისას მიმართეს, რაც, როგორც ქცევის მოდელი, „ტიტუშკების რეიდად“ შეფასდა.[114] „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმდინარე აქციების დროს უცნობი პირები აქციის მონაწილეებს, ორგანიზატორებს, მათი ოჯახის წევრებს სახლებთან ან ქუჩაში ხვდებოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ, რასაც სამართალდამცავი უწყებების მხრიდან არც მაშინ არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.[115] ამან მოძალადეები კიდევ უფრო მეტად წააქეზა და ძალადობის ფარგლები განავრცო. სადამსჯელო დაჯგუფებების კანონსაწინააღმდეგო ქმედებები გამოვლინდა არჩევნებთან დაკავშირებით გამართულ დემონსტრაციებზეც.[116]

2024 წლის 28 ნოემბრიდან ხელისუფლებასთან დაკავშირებული არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებების (ე.წ. ტიტუშკების) სამიზნეები შემდეგი პირები გახდნენ:

- **2 დეკემბერს** „კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრ გელა ხასაიას სამი ე.წ. ტიტუშკა საკუთარ სახლთან მაშინ დაესხა თავს, როდესაც ის აქციაზე მისვლას ცდილობდა. მას სასტიკად სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.[117]
- **5 დეკემბერს** თავისუფლების მოედანზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ წინ მობილიზებული ე.წ. ტიტუშკები შენობიდან ოპოზიციის ლიდერების გამოსვლას ელოდებოდნენ. მათ შორის იყო პოლიციის თანამშრომელი გიორგი პირველაშვილი, რომელსაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა.[118] წარმოქმნილი დაპირისპირების დროს პოლიცია ე.წ. ტიტუშკებს შეუერთდა თავდა-

---

[114] საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში“, 2024, 9, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf_01722589845.pdf, [27.12.2024].

[115] *იქვე.*

[116] საზოგადოებრივი მაუწყებელი, აქცია ცესკოს თავმჯდომარის სახლთან, 16.11.2024, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/aqcia-cesko-s-tavmjdomaris-sakhltan/, [27.12.2024].

[117] გელა ხასიას სახლთან დახვდნენ. 02.12.24, https://www.facebook.com/mariam.shushania.1/posts/pfbid034PpzxMw6XJU3gZBXU9iCSaMjcYjjvBndtrPjwMSMmE6FktnPHX1Ka6eQH5MKfmgGl, [27.12.2024].

[118] „ტვ პირველი“, 04.12.2024, https://www.youtube.com/watch?v=pW8QBvpM4dU, [27.12.2024].

სხმაში და სპორტსმენი, ოპოზიციური პარტია „ახლის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ დათუნაშვილი დააკავა.[119]

- **6 დეკემბერს** „პუბლიკას” ჟურნალისტ მინდია გაბაძეს ცისფერ გალერეასთან საპროტესტო აქციის გაშუქების დროს თავს უცნობი პირები დაესხნენ და მასზე ფიზიკურად იძალადეს. იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცველები შემთხვევის ადგილთან ძალიან ახლოს იდგნენ, ამ ფაქტზე მათ არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ.[120]
- **6-7 დეკემბრის** აქციაზე, ღამით, მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა რუსთაველის გამზირიდან თარხნიშვილის ქუჩით სანაპიროსკენ გადაინაცვლეს, მათ ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული[121] უცნობი პირები დაუპირისპირდნენ,[122] რასაც პოლიციის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.
- **7 დეკემბერს** სადამსჯელო რაზმების ძალადობა ახალ რეპრესიულ საფეხურზე გადავიდა. ისინი თავს ესხმოდნენ აქციის მონაწილეებს და მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ. მოქალაქეები ჰყვებოდნენ, რომ აქციის მონაწილეებს ნიღბიანი, ხელკეტებით შეიარაღებული პირები დასდევდნენ და სცემდნენ.[123] ფიზიკურად გაუსწორდნენ მსახიობ გიორგი მახარაძესაც, რომლის თქმითაც, პოლიციას ძალადობაზე სათანადო რეაგირება არ ჰქონია.[124] გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. ტიტუშკებმა სცემეს აქციის მონაწილეს, ფსიქოლოგ გიორგი ჩოგოვაძეს.[125]
- **7 დეკემბერს** ერთი და იგივე სადამსჯელო დაჯგუფება თავს დაესხა „ტვ პირველის“ ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძეს[126] და, იმავდროულად, სასტიკად გაუსწორდა ოპერატორ გიორგი შეწირულს.[127] დაჯგუფების წევრები ასევე ფიზიკურად გაუსწორდნენ და მობილურები წაართვეს მაკა და ეკა ჯანაშიებს, რომლებიც „ტვ პირველის“ ჟურნალისტებზე ძალადობის კადრებს ტელეფონით იღებდნენ.[128]
- **7 დეკემბერს, „**ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის შემდეგ, იგივე სადამსჯელო დაჯგუფება[129] შეიჭრა პარტია „ახლის“ ოფისში, სადაც ფიზი-

---

[119] „ევრონიუსი“, „ქორთიარდ მარიოტთან“ ოპოზიციური პარტიების შეხვედრის შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება მოხდა“, 04.12.2024, https://www.youtube.com/watch?v=4B2IXUzAVW8, [27.12.2024].

[120] საია, „საია ეხმიანება „პუბლიკის” ჟურნალისტ მინდია გაბაძეზე თავდასხმის ფაქტს“, 06.12.2024, https://www.facebook.com/photo/?fbid=997707765734579&set=a.485094683662559, [27.12.2024].

[121] „ტვ პირველი“, „სანაპიროზე მყოფ აქციის მონაწილეებს იარაღიანი „ტიტუშკები» მიუგზავნეს“, 07.12.2024, https://www.facebook.com/watch/?v=1086442272746708, [27.12.2024].

[122] საია, „ლეგიტიმური პროტესტის მე-9 ღამეს აქციის დარბევა საპოლიციო ტერორის ახალ ეტაპზე გადავიდა“, 07.12.24. https://gyla.ge/post/protesti-me9-game-darebav-gyla, [27.12.2024].

[123] „ტვ პირველის“ პირდაპირი ეთერი, 07.12.2024, 22:10.

[124] „მთავარი არხი“ 07.12.2024, https://www.facebook.com/TvMtavari/videos/594925579675717, [27.12.2024].

[125] „მთავარი არხი“, 08.12.2024,
https://www.facebook.com/photo/?fbid=978915494291121&set=a.628036179379056, [27.12.2024].

[126] პირდაპირ ეთერში გადამღებ ჯგუფს ნიღბიანი ადამიანი მიუახლოვდა და ოპერატორისთვის კამერის წართმევას ცდილობდა. ამ დროს მაკა ჩიხლაძეს უკნიდან ასევე ნიღბიანი პირი მიუახლოვდა და ძირს დააგდო, ფიზიკურად გაუსწორდნენ ოპერატორს. „პირველი არხი“, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფს პირდაპირ ეთერში დაესხნენ თავს [ვიდეო], 07.12.2024, https://1tv.ge/news/telekompania-tv-pirvelis-gadamgheb-jgufs-pirdapir-etershi-daeskhnen-tavs-video/?fbclid=IwY2xjawHCaPNleHRuA2FlbQIxMQABHYDd5ODzxfGKqeD9MnRMOtkrTycKWtiCTHIPJRwxv7PXlXI8JJyAj3mhkw_aem_AbU71sKmvbo20XD1oEgLSw, [27.12.2024].

[127] „პუბლიკა“, ტიტუშკები „ტვ პირველის” ოპერატორს ფიზიკურად გაუსწორდნენ.
https://www.facebook.com/reel/1143698633979632, [27.12.2024].

[128] https://www.facebook.com/mariam.gogiashvili.16/posts/pfbid02WCmvaCTmzcHnUTg12zDA753UGQuLPMszBcdZYA5Fn7tX9UzkEWecDTu2rxaK8LTil, [27.12.2024].

[129] „რადიო თავისუფლება“, „ერთი და იგივე ჯგუფი თავს დაესხა „ტვ პირველის” ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძეს და კოალიცია „ცვლილებების” ოფისს“, 08.12.2024, https://www.instagram.com/p/DDSsyHky20r/, [27.12.2024].

კურად გაუსწორდა კობა ხაბაზს. ორივე თავდასხმა ხანმოკლე ინტერვალით მოხდა ბესიკის ქუჩაზე, თუმცა პოლიციას არც ამაზე ჰქონია არანაირი რეაგირება.

სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის კარგად არის ცნობილი, ვინ არიან სადამსჯელო დაჯგუფების წევრები. ეს ცხადად იკითხება ღია წყაროებით გავრცელებულ მასალებში, ზოგჯერ კი თავდამსხმელთა სახეებიც ჩანს.[130] თუმცა, მაშინაც, როცა საპატრულო ეკიპაჟს შეეძლო, რეალურ დროში აღეკვეთა ძალადობა, ან მასზე რეაგირება მოეხდინა, საჯარო კადრები მათ სრულ ინდიფერენტულობასა და უმოქმედობაზე მიუთითებს.[131]

ეს ყოველივე, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ადასტურებს, რომ არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მაღალი თანამდებობის პირების ხელშეწყობით, მათი თანხმობით მოქმედებენ აქციის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლების ტერორის მიზნით.

[130] საია, „ლეგიტიმური პოტესტის მე-9 ღამეს აქციის დარბევა საპოლიციო ტერორის ახალ ეტაპზე გადავიდა, 07.12.24, https://gyla.ge/post/protesti-me9-game-darebav-gyla, [27.12.2024].

[131] „მაუწყებელი“, „ბიტა უჭირავს და აცილებს» - როგორ (არ) მოქმედებს პოლიცია ნიღბიანი ბანდების წინააღმდეგ“. https://www.facebook.com/reel/964512905732781; „უყურებდი, 30 კაცი დუბინკით როგორ მცემდა მარტოს, უყურებდი“ — გიორგი მახარაძის მიმართვა პოლიციელს, https://www.facebook.com/reel/500573012333067, [27.12.2024].

6. იძულებითი გაუჩინარება საპროცესო გარანტიების უგულებელყოფით

2024 წლის 7 დეკემბრიდან ადამიანები უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჰყავთ საკუთარი სახლებიდან და ქუჩიდან უცნობ პირებს ისე, რომ არც მათ და არც მათი ოჯახის წევრებს არ განუმარტავენ, რა საფუძვლით ან სად გადაჰყავთ ისინი. ასევე, უცნობია, არიან თუ არა ეს პირები სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები. ადვოკატებსა და ოჯახის წევრებს საათების განმავლობაში არ აქვთ ინფორმაცია მათი ადგილსამყოფლის, მდგომარეობისა და საპროცესო-სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

7 დეკემბრის დღის მეორე ნახევარში არაერთი შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც აქციის მონაწილეებს სახლებში უცნობმა პირებმა მიაკითხეს. მათი ოჯახის წევრებისა და მეგობრების განცხადებით, ისინი საცხოვრებელი სახლებიდან გაიყვანეს პირებმა, რომლებიც საკუთარ თავებს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებად მოიხსენიებდნენ, თუმცა პოლიციის ფორმები არ ეცვათ. მათ ეუბნებოდნენ, რომ გასაუბრება სურდათ და ადამიანები ყოველგვარი დასაბუთების, განმარტების გარეშე მიჰყავდათ.[132]

აღნიშნული პრაქტიკა, შესაძლოა, გაუტოლდეს იძულებითი გაუჩინარების კვალიფიკაციას. ეს ხდება მაშინ, **როდესაც კერძო პირები, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს უფლებამოსილებით, მხარდაჭერით ან თანხმობით, ფარულად იტაცებენ, აკავებენ ან სხვაგვარად თავისუფლებას ართმევენ ადამიანებს ისე, რომ მათ მდგომარეობას ან ადგილსამყოფელს მიზანმიმართულად მალავენ, რაც ადამიანებს კანონის დაცვის მიღმა აყენებს.[133]**

ამასთანავე, სახელმწიფო უხეშად უგულებელყოფს საპროცესო გარანტიებს, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ უფლებას, როგორიცაა დაკავებისთანავე ადვოკატის დახმარება.

როგორც შემდგომ გამოიკვეთა, ამ პირების ნაწილი გადაიყვანეს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, სადაც, მიუხედავად ადვოკატების განმარტებისა, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფებს არ სურდათ გამოკითხვაში მონაწილეობა, ეს ადამიანები იძულებით შეიყვანეს გამოკითხვაზე. ადვოკატებს არც ამ პროცესში მიეცათ მონაწილეობის შესაძლებლობა და ისინი იძულებითი გამოკითხვის დასრულებას უწყების კართან ელოდნენ.[134] გარდა ამისა, სამართლებრივი დახმარების ქსელის ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი პირისგან მიიღო შემაშფოთებელი ინფორმაცია. კონკრეტულად, მისი განმარტებით, ნიღბიანმა ადამიანებმა დაკავებისას სამართალდამცავი უწყების სამარშრუტო ტიპის ავტომობილში მასთან ერთად მყოფ პირს იძულებით მოაკიდებინეს ხელი დანაზე, პარალელურად კი, ამეორებინებდნენ, რომ ეს მისი ცივი იარაღი იყო.[135]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალსახად არის მითითებული, რომ გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია, პირს თავიდანვე განუმარტოს გამოკითხვის ნებაყოფლობითობისა და მისი უფლების შესახებ, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. ჩვენების მიცემა სავალდებულოა მხოლოდ მაგისტრატ მოსამართლესთან დაბარების დროს, რაც პოლიციის ზემოაღნიშნული ქმედებების უკანონობას ადასტურებს.

---

[132] არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის განცხადება 7 დეკემბერს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, 08.12.2024, https://gyla.ge/post/7-dekemberi-qselisertoblivigancxaeba-gyla?fbclid=IwY2xjawHCQuVleHRuA2FlbQIxMAABHf8fZbbG1LyA01CcA3AtSX6UEqhaEcXNhxTV7WrvCaHVPIykewlDLH7ixw_aem_2FE6gpWtdskqOdVNRUGAMQ, [27.12.2024].

[133] ევროპის საბჭოს რეზოლუცია 1463 (2005), https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17371, [27.12.2024].

[134] *იქვე*.

[135] *იქვე*.

ამრიგად, პოლიციის მიერ მოქალაქეთა უკანონო დაკავება, გამოკითხვაზე იძულებით გადაყვანა, იძულებითი გამოკითხვა და ადვოკატებისთვის წარმომადგენლობის უფლების შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, რაც დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.[136]

[136] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება პირების იძულებით გამოკითხვებთან დაკავშირებით, 11.12.2024, https://gyla.ge/post/pirebis-idzulebiti-gamokitxva?fbclid=IwY2xjawHQ3axleHRuA2FlbQIxMAABHc2-X8e837F8SdVrtgZqZ60cYdYaMt3ZXHjlkLFvwtMiNF8TV_8dI7Epfg_aem_O0igIk4jjRQICxTu9n44gw, [27.12.2024].

7. უკანონო დაკავება ადმინისტრაციული წესით

არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის მონაცემებით, ადმინისტრაციული წესით 450-ზე მეტი მოქალაქე დააკავეს.[137] აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოა და ადამიანებს დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიების გარეშე ტოვებს. ეს ეხება, მათ შორის, დაკავებულთა დაცვის არასათანადო უზრუნველყოფას, მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული სიცხადისა და გასაჩივრების უფლების ნაკლებობას.[138] საგულისხმოა, რომ დემონსტრანტების ნაწილი პოლიციას უშუალოდ საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას არ დაუკავებია. ისინი ქუჩაში, საპროტესტო აქციის დასრულების შემდეგ, ან მომდევნო დღეებში, მათი საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს აიყვანეს.[139] ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა ხელისუფლებას მოუწოდა, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ყველა პირი, რომლებიც დაკავებულები არიან მათი დემონსტრაციის უფლების ლეგიტიმური გამოყენების გამო.[140]

9 დეკემბრის მონაცემებით,[141] სასამართლომ 114-ივე პირი, რომელთა საქმეც განიხილა, სამართალდამრღვევად ცნო და მძიმე სანქციები დააკისრა, რომელთა შორისაცაა: ადმინისტრაციული პატიმრობა, ჯარიმა, შენიშვნის გამოცხადება.[142]

საკანონმდებლო ჩარჩოს გაუარესება

2024 წლის 13 დეკემბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის[143] კიდევ უფრო რეპრესიულ იარაღად ქცევის მოტივით.

შედეგად, მნიშვნელოვნად იზრდება სანქციები ისეთი სამართალდარღვევებისთვის, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც წესი, საპროტესტო აქციების მონაწილეთა წინააღმდეგ იყენებს. ასევე, კოდექსს ემატება ახალი სამართალდარღვევები და დაკავების ახალი საფუძვლები.

აშკარაა, რომ შეკრებებთან, მანიფესტაციებთან, საპროტესტო გამოხატვასთან დაკავშირებულ ქმედებებზე სანქციების არაპროპორციული ზრდითა და ახალი საფუძ-

---

[137] საია, 17.12.2024, https://www.facebook.com/photo?fbid=1005401682298520&set=pcb.1005401751631847, [19.12.2024].

[138] Human Rights Committee Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5, 2022.

[139] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი სამოქალაქო აქტივისტების უკანონო დაკავების შემთხვევებს აფასებს“, 7.12.2024, https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-samokalako-aktivistebis-ukanono-dakavebis-shemtkhvevebs-afasebs?fbclid=IwY2xjawHSpINleHRuA2FlbQIxMAABHflnHMMXA68Ptr9_x512sqEvQQZ3UXTJKIoo-_E-qZ8SAFArvFivlVVI6g_aem_TIz9DYHOFA2zbxcZ8I0GJQ, [19.12.2024].

[140] CoE, Commissioner for Human Rights, Georgian authorities must fulfil their obligation to uphold the right of peaceful assembly, 04.12.2024, https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgian-authorities-must-fulfil-their-obligation-to-uphold-the-right-of-peaceful-assembly, [27.12.2024].

[141] 9 დეკემბრის მონაცემებით, არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ცხელი ხაზის ადვოკატებმა სასამართლოში 114 პირის ინტერესები დაიცვეს, რომელთაც პოლიცია წვრილმან ხულიგნობას ან/და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავებოდა. აქედან, სასამართლომ ყველა პირი სამართალდამრღვევად ცნო. საია, 17.12.2024, https://www.facebook.com/photo?fbid=1005401681631854&set=pcb.1005401751631847, [27.12.2024].

[142] აღსანიშნავია, რომ 32 მოქალაქე დააჯარიმეს „შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის“ გამო. საია, 17.12.2024, https://www.facebook.com/photo?fbid=1005401691631853&set=pcb.1005401751631847, [19.12.2024].

[143] კანონპროექტი და მასთან დაკავშირებული ფაილები, https://info.parliament.ge/#law-drafting/29789, [27.12.2024].

ვლების დამატებით, „ქართული ოცნება“ მოსახლეობის დაშინებას ცდილობს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენება შსს-ს მიერ, რასაც სასამართლო ხელისუფლება მართლმსაჯულების რეალურ განხორციელებაზე უარის თქმით აკანონებს.

შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ამ სანქციებს სახელმწიფო არა მართლწესრიგის დასაცავად, არამედ გამოხატვის და შეკრების უფლებების წინააღმდეგ გამოიყენებს.

ცვლილებები შემდეგია:

ახალი სამართალდარღვევები

- *სახის დაფარვა ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით* იქნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.
- შეკრების მონაწილეებს ასევე აეკრძალებათ, თან იქონიონ *„ლაზერული ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე ისეთი საშუალება, რომლის გამოყენებამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას, ან/და მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამართულ ფუნქციონირებას“.*

მიმდინარე აქციების პარალელურად, შსს რუტინულად ატარებს უკანონო ჩხრეკებს და ადამიანებს, მათ შორის, ისეთ ლეგალურ ნივთებს ართმევს, როგორებიცაა აირწინაღი და ნიღაბი. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ამ შეზღუდვით შსს უკანონო ჩხრეკებს გაამართლებს და მას არაპროპორციულად გამოიყენებს, მაგალითად, ისეთი ლაზერული ან მანათობელი ნივთების მფლობელთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ ხელსაწყოებით, რეალურად, ვერ შეაფერხებენ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას ან მათი ტექნიკის ფუნქციონირებას.

ამ მოთხოვნათა დარღვევისთვის სანქცია ასევე 2000 ლარი იქნება.

- მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას ემატება ამავე კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა *(სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა)*. აღსანიშნავია, რომ პოლიცია, როგორც წესი, სწორედ 173-ე მუხლს იყენებს დემონსტრანტების უსაფუძვლო დაკავებისას.
- კოდექსში ჩნდება ახალი სამართალდარღვევა (მუხლი 198^3) - *<u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დადგენილი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის უკანონოდ ტარება ან ამ ტანსაცმლისა და ატრიბუტიკისთვის მიმსგავსებული ტანსაცმლის/ატრიბუტიკის ტარება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის შს სამინისტროს სისტემის მოსამსახურე, რასაც, შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, შეცდომაში შეჰყავს ობიექტური დამკვირვებელი.*</u>*

  ამ სამართალდარღვევისთვის სანქციად გათვალისწინებულია 2 000 ლარი, საგნის კონფისკაციით.

გაზრდილი სანქციები

- შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა

კოდექსის 174^1-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი რედაქციის მიხედვით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-9, მე-11 და მე-11[1] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული სანქციები.

ეს ნორმები უკავშირდება აკრძალულ ადგილებში აქციების და მანიფესტაციების ჩატარებას, აკრძალული მოწოდებების გაკეთებას, აკრძალული ნივთების ქონას და, მონაწილეთა მცირე რაოდენობის მიუხედავად, გზის გადაკეტვას.

ძველი რედაქცია ითვალისწინებს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. ახალ რედაქციაში ჯარიმების ოდენობა, შესაბამისად, არის 5000 და 15000 ლარი.

- ქალაქსა ან სხვა დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული

125-ე მუხლის მე-6[1] ნაწილი აქამდე ითვალისწინებდა ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო ახალი მოწესრიგებით, ასევე გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას (კუმულაციურად).

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯება

150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისთვის (სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება[144]) ჯარიმის ოდენობა იზრდება და, 50 ლარის ნაცვლად, 1000 ლარით განისაზღვრება.

იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა (150-ე მუხლის მე-2 ნაწილი), 500-ის ნაცვლად, 2000 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

- მსგავსად არის გაზრდილი ჯარიმების ოდენობა ამ მუხლის სხვა ნაწილებისთვის:

  სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 500 ლარისა. ამ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1 000 ლარისა, ან, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

  „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგე-

[144] არაკონსტიტუციურად არის ცნობილი 150-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი“ **ის ნორმატიული შინაარსი,** რომელიც გამორიცხავს მესაკუთრის მიერ ან მესაკუთრის თანხმობით პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების სპონტანური საპროტესტო აქციის ფარგლებში ხანმოკლე ვადით, დროებითი განთავსების შესაძლებლობას ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი. - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება №1/5/1271 – ვებგვერდი, 09.07.2019წ.

ნილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ტერიტორიის იერსახის დამახინჯება გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1 000 ლარისა. განმეორებით იმავე ქმედების ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 3 500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 2 000 ლარისა.

ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 500 ლარისა.

- მსგავსად იზრდება სანქციები 150[2]-ე მუხლის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება) შემთხვევაშიც:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილებზე, პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა. იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით, ნაცვლად 1 000 ლარისა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილებზე გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1 000 ლარისა. ამ ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 2 000 ლარისა.

ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1 000 ლარისა. განმეორებით იმავეს ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 3 500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 2 000 ლარისა.

- ვანდალიზმი

გაზრდილია ჯარიმების ოდენობა ვანდალიზმის მუხლის (166[2]-ე მუხლი) პირველი და მეორე ნაწილებისთვის, შესაბამისად, 300 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება 1000 ლარი და, 500 ლარის ნაცვლად - 2000 ლარი.

დაკავების საფუძვლები

აღსანიშნავია, რომ იზრდება იმ საფუძველთა ჩამონათვალიც, რომლებითაც დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი, ასევე მისი ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა. კოდექსში უკვე არსებულ საფუძვლებს ემატება:

- სამართალდამრღვევის სასამართლოში დროულად წარდგენა;
- საქმის გაჭიანურების თავიდან აცილება;
- ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობისთვის თავის არიდების პრევენცია;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენცია (მუხლი 244).

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, წლებია, გამოიყენება, როგორც რეპრესიული იარაღი დემონსტრანტების წინააღმდეგ. როგორც წესი, პირის დაკავება ხდება უსაფუძვლოდ, ასევე შაბლონური დასაბუთებით ხანგრძლივდება დაკავების ვადა 48 საათამდე.[145] სასამართლო პროცესები სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულებელყოფით მიმდინარეობს და მოსამართლეები არ ითვალისწინებენ დაკავებულთა მტკიცებულებებს, რომლებიც ცრუ მოწმე პოლიციელების ჩვენების არასანდოობას ამტკიცებს.[146] ამგვარი პრაქტიკა აქტუალური იყო წინა წლების საპროტესტო აქციების დროსაც.[147]

შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც პირთა დაკავება, მათთვის თავისუფლების შეზღუდვა და შემდგომ სამართალდამრღვევად ცნობა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ხდება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი პირს გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმების, ხოლო სასამართლო პრაქტიკა - სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების შესაძლებლობის გარეშე ტოვებს, აშკარაა, რომ სამართალდამრღვევის მიერ განმეორებითი სამართალდარღვევის ჩადენის პრევენციის მიზნით დაკავება გამოყენებული იქნება სახელმწიფოს მიერ თავისუფლების უფლების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების შესაზღუდად და პოლიციის მხრიდან თვითნებობის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის გასამართლებლად.

[145] არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის განცხადება დაკავებული პირების შესახებ, 01.12.2024, https://gyla.ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-qselis-gancxadeba-dakavebulebze, [27.12.2024].

[146] იქვე; ასევე, იხ. IRCT, IFEG, OMCT, Omega Research Foundation, საია, GCRT, HRC, საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, 24.12.2024, https://gyla.ge/post/tsameba-da-araadamianurimopkroba-saerto-gancxadeba, [27.12.2024].

[147] საია, „საქართველო 2023 წელს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება“, 2024, 22-24, https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%202023%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1.pdf, [27.12.2024].

8. სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება დემონსტრანტების მიმართ

მზარდია სისხლის სამართლის ინსტრუმენტების გამოყენება აქტივისტების მიმართ. ამის ერთ-ერთი მიზანი კი განსხვავებული აზრის ჩახშობაა.[148] საია მონიტორინგს უწევს 40-მდე პირის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც უკავშირდება პროტესტს, მათ შორისაა, 2024 წლის აპრილ-მაისის დროს „რუსული კანონის“ პროტესტთან დაკავშირებით დაკავებული 6 პირის საქმე, 19 და 28 ნოემბრის შემდგომი უწყვეტი ლეგიტიმური პროტესტის დროს დაკავებული 38 ბრალდებულის საქმე, ასევე ბალდის კანიონის აქტივისტ ინდიკო ბჟალავას, აქტივისტ ვიტალი გუგუჩიას და აქტივისტ იოსებ ბაბაევის საქმეები.

დემონსტრანტების ბრალდების საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოში სამართალწარმოებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- ✓ ***აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე.***
- ✓ ***არასათანადო მოპყრობის შემთხვევები.***
- ✓ ***„დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტის არარსებობა.***
- ✓ ***პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური გამოწვევები და სხვა.***

1. წარდგენილი ბრალდებები

აქტივისტების მიმართ უმეტესად წარდგენილია შემდეგი სახის ბრალდებები: **ჯგუფური ძალადობის ორგანიზება და ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა**[149] (სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები), **პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით**[150] (სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილი), **ნივთის დაზიანება ან განადგურება ჯგუფურად** (სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილი)[151] და სხვა. ოპოზიციონერ პოლიტიკოს ალეკო ელისაშვილს ბრალს სდებენ **დევნის** ჩადენისთვის ძალადობით ან ძალადობის მუქარით (სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილი). ასევე, რამდენიმე აქტივისტის მიმართ წარდგენილი ბრალდება **ნარკოტიკულ დანაშაულს** უკავშირდება[152] (სსკ-ის 260-ე მუხლი).

2. საქმეთა გაჭიანურება

რუსული კანონის საწინააღმდეგო პროტესტის დროს დაკავებული პირების საქმეთა განხილვა ჭიანურდება. ამ საქმეების უმრავლესობაში მტკიცებულებები უდავოდაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, სასამართლო საქმის განხილვას არ ასრუ-

---

[148] საია, „დემონსტრანტების წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგები“, 10.12.2024, https://gyla.ge/post/siskhlis-saqmeebis-montoringi-demonstratnebi-gyla, [27.12.2024].
აქტივისტებს ბრალი ედებათ ისეთი დანაშაულებისთვის, როგორებიცაა: ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა (სსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილი), აფეთქების მომზადება (სსკ-ის 18, 229-ე მუხლი), პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილი) და სხვა.

[149] ირაკლი ქერაშვილის, რევაზ კიკნაძის, ანდრო ჭიჭინაძის, ონისე ცხადაძის, ლუკა ჯაბუას, გურამ მირცხულავას, ჯანო არჩაიას, რუსლან ჩივაკოვის, ვეფხია კასრაძის, ვასილ კაძელაშვილის, გიორგი გორგაძის, ირაკლი მიმინოშვილის, ისაკ ალიევის, თორნიკე გოშაძის, ზვიად ცეცხლაძის და ნიკოლოზ ჯავახიშვილის ბრალდება.

[150] საბა სხვიტარიძის ბრალდება.

[151] საბა მეფარიშვილისა და ომარ ოკრიბელაშვილის ბრალდება.

[152] გიორგი ახობაძის, თედო აბრამოვის და ნიკოლოზ კაციას მიმართ წარდგენილი ბრალდებები.

ლებს და ყოველ ჯერზე ხდება სხვადასხვა მიზეზით სხდომების დიდი ხნით გადადება. **საიას შეფასებით, საქართველოს პროკურატურა და თბილისის საქალაქო სასამართლო ხელოვნურად აჭიანურებენ საქმის განხილვას, სავარაუდოდ, იმ მოტივით, რომ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აქტივისტების შეწყალება თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მოასწროს.** ბრალდების და სასამართლო ორგანოების ამგვარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ აქტივისტების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები არ არის დაცლილი სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით დევნის მოტივებისგან, რაც შემაშფოთებელია და ძირს უთხრის, ერთი მხრივ, პროკურატურის, როგორც კონსტიტუციური ორგანოს და, მეორე მხრივ, სასამართლო სისტემის საქმიანობას.

3. პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე

რუსული კანონის წინააღმდეგ დაწყებული პროტესტის და ნოემბერში მიმდინარე აქციების დროს დაკავებული ყველა აქტივისტის **მიმართ პირველ ეტაპზე სასამართლომ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა გამოიყენა.** ყველა შემთხვევაში, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა პატიმრობის შეფარდების შესახებ, ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე, როგორებიცაა: ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, მათი პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. ამასთანავე, დაკავებულთა შორის იყვნენ 21 წლამდე პირები, სტუდენტები და სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლები. ზოგიერთი იყო ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახის წევრის ერთადერთი მარჩენალი ან მომვლელი. უმრავლესობა არ იყო წარსულში ნასამართლევი, ასევე, არ ჰქონდა ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ბრალდების მხარის დასაბუთება პატიმრობის გამოყენების შესახებ ეყრდნობოდა განზოგადებულ რისკებს, როგორებიცაა: მიმალვის საფრთხე, მტკიცებულებების განადგურება, ახალი დანაშაულის ჩადენა.

მხოლოდ ორ საგამონაკლისო შემთხვევაში მოხდა პატიმრობის შეცვლა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ერთი შეეხებოდა პოლიტიკოს ალეკო ელისაშვილს, რომელთან მიმართებით პატიმრობა შეიცვალა **გირაოთი** და მეორე - **არასრულწლოვან** აქტივისტს, რომელთან დაკავშირებით პატიმრობის ნაცვლად გამოყენებული იყო **მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა**. ორივე შემთხვევაში, პატიმრობის შეცვლა თავად ბრალდების მხარემ იშუამდგომლა**.**

4. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი

ადვოკატები მუდმივად ხაზგასმით საუბრობდნენ ისეთი მტკიცებულებების არარსებობაზე, რომლებიც დააკმაყოფილებდა სისხლის სამართლის ბრალდებისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. სსკ-ის 225-ე მუხლით (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა და მასში მონაწილეობა) ბრალდებულთა სხდომაზე გაცხადებული გარემოებების შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, უმეტესად არ ვლინდებოდა ბრალდებულთა შორის კოორდინაციისა ან კოლექტიური მოქმედების ფაქტი. დაკავებულთა ნაწილს ბრალს სდებდნენ იზოლირებულ ქმედებებში სხვადასხვა დროსა და ადგილას, ურთიერთკავშირისა და განზრახვის მტკიცებულების გარეშე.

პროკურატურა ინდივიდებს ბრალად სდებს ისეთი ქმედებების ჩადენაში, როგორებიცაა საგნების სროლა (ჯოხები, ბოთლები, მუყაოს ჯოხი, დაუდგენელი მძიმე საგანი), მაგრამ ამ ქმედებებს ვერ აკავშირებს ერთობლივ და კოლექტიურ ძალადობასთან, ასევე, არ საუბრობს კონკრეტულ ზიანზე.

გარდა ამისა, ერთ-ერთი ბრალდებულის წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ მას ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში არაერთი საქმე აქვს, სადაც ანალოგიური ქმედებების განხორციელებისთვის ბრალდებულები სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნო და მისთვის გაუგებარი იყო, როგორ გამიჯნა ბრალდების მხარემ ხსენებული ქმედებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევისგან. მაგალითად, ქვის ან ჯოხის სროლისას სად გადიოდა ზღვარი პირის სამართალდარღვევასა და შესაძლო დანაშაულს შორის?!

საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით ბრალად წარდგენილი ქმედებები საყურადღებოა არა მხოლოდ კონკრეტულ ბრალდებულებთან მიმართებით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის თვალსაზრისით, არამედ იმ რისკების შეფასების ნაწილშიც, რომელთა დროსაც სისხლის სამართლებრივი მექანიზმები ბრალდების მხარის ხელში შეიძლება იქცეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და აქციის მონაწილეთა დევნის რისკის მატარებლად.

5. არასათანადო მოპყრობის შემთხვევები

სისხლის სამართლის წესით დაკავებული რამდენიმე დემონსტრანტი მიუთითებდა დაკავების დროს, ტრანსპორტირებისა თუ განყოფილებაში მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ. მაგალითად, **ალეკო ელისაშვილმა პირველი წარდგენის სხდომაზე განმარტა, რომ დაკავებისას მანქანაში ჩასვეს და სცემეს.**

საბა სვიტარიძემ დეტალურად აღწერა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოცდილება. მისი განმარტებით, ის პოლიციამ ზესტაფონის გზაზე დააკავა, მისთვის არ განუმარტავთ დაკავების საფუძველი, არც ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა მისცეს, შემდეგ გადასცეს გორთან გაურკვეველ ოპერატიულ ჯგუფს და გადაიყვანეს დიღომში მდებარე პოლიციის სამმართველოში. დიღომში, სამმართველოს შენობაში, მეხუთე სართულზე, მას ოთხი ნიღბიანი ადამიანი ფიზიკურად გაუსწორდა და სცემა, შემდგომ კი ამავე შენობის მერვე სართულზე საპატრულო ფორმაში ჩაცმულმა პიროვნებამ, რომელსაც ნიღაბი ეკეთა, სხვა პირებთან ერთად კვლავ იძალადა მასზე.

რევაზ კიკნაძემ განაცხადა, რომ მას ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ქვეშ აიძულებდნენ, ეღიარებინა დანაშაული და დაედანაშაულებინა სხვები, რაც გამოიწვევდა მის მიმართ სისტემის მხრიდან ლოიალურ დამოკიდებულებას.

ბრალდებულების მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია, სხვა გამოცდილებებთან ერთად, განამტკიცებს იმ ფაქტს, რომ პირების მიმართ წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას სისტემური და ფართომასშტაბიანი ხასიათი აქვს.

6. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უმოქმედობა

საგანგაშოა, რომ ამ დრომდე არ მომხდარა **არც რუსული კანონის პროტესტის** და **არც 28 ნოემბრის შემდგომი საპროტესტო აქციების** დროს სამართალდამცველთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების სათანადო გამოძიება და პასუხისმგებელი პირების გამოვლენა.

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სისტემური უმოქმედობა დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით მიუთითებს სამსახურის თანამონაწილეობაზე ამ ძალადობაში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 4 დეკემბრიდან პროევროპული პროტესტის აქტიური მონაწილეების მიმართ „ქართული ოცნების“ რეჟიმმა რეპრესიების ახალი მძლავრი ტალღა დაიწყო. ისინი ძალადობრივად, ღირსების შემლახავი ფორმებით აკავებენ მოქალაქეებს და ჩხრეკენ მათ საცხოვრებელ ადგილებს,[153] რაც მიზნად ისახავს ლეგიტიმური პროტესტის ჩახშობას ადამიანების დაშინების გზით.[154]

[153] *ჩატარებული მოქმედებების დროს პოლიციელებმა, არ გაითვალისწინეს ერთ-ერთი მოქალაქის ბინაში ბავშვების ყოფნა. მათი მონათხრობით, ჩხრეკის ფორმა იმდენად შემაშინებელი იყო, რომ ადგილზე მყოფ კიდევ ერთ პირს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.* სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი სამოქალაქო აქტივისტების უკანონო დაკავების შემთხვევებს აფასებს“, 7.12.2024, https://socialjustice.org.ge/ka/products/samokalako-aktivistebis-binebisa-da-politikuri-partiebis-ofisebis-chkhreka-politikur-devnasa-da-saprotesto-aktsiis-diskreditatsias-emsakhureba, [27.12.2024].

[154] საიას განცხადება. 04.12.2024, https://www.facebook.com/photo/?fbid=996298345875521&set=a.485094690329225, [27.12.2024].

9. რეპრესიები საჯარო მოხელეების მიმართ

„ქართული ოცნების" გადაწყვეტილების საწინააღმდეგო აზრი განცხადებების სახით გამოხატეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლებმა.[155] ვინაიდან საჯარო მოხელეების პროტესტი რადიკალურად ეწინააღმდეგება ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნების" პოზიციას, ისინი, შესაძლოა, სამსახურიდან გათავისუფლების რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ. ქალაქ თბილისის მერის, კახი კალაძის[156] და, ასევე, „ქართული ოცნების" წევრის, ნინო წილოსანის[157] გამოხმაურება ადასტურებს საჯარო სექტორში დასაქმებული პირების მიმართ ამ კუთხით ზეწოლის რისკებს.

თბილისის მერიაში დაანონსებული რეორგანიზაცია, შესაძლოა, გამოყენებული იყოს როგორც ინსტრუმენტი იმ საჯარო მოსამსახურეების წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარ პოზიციას გამოხატავენ ქვეყნის ევროპული მომავლის შესახებ და ემიჯნებიან „ქართული ოცნების" მიერ კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს.[158]

საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული და გარანტირებულია ყველა ადამიანის, მათ შორის, საჯარო მოხელის გამოხატვის თავისუფლებაც. „საჯარო სამსახურის" შესახებ კანონი საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს აკისრებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის ვალდებულებას, თუმცა სახელმწიფოს საგარეო კურსის შესახებ აზრის გამოხატვა არ შეიძლება მოექცეს ამ პრინციპის ფარგლებში. ეს არც აგიტაციაა, არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა და სრულად შეესაბამება კონსტიტუციის 78-ე მუხლს.

„საჯარო სამსახურის" შესახებ კანონის მე-12 თავი ამომწურავად ადგენს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს, რომელთა შორის, ცხადია, არ არის მოსაზრების გამოხატვა. მეტიც, საჯარო მოხელეების იძულება (პირდაპირი ან ირიბი), დაწერონ განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, მათ მიერ გამოხატული ლეგიტიმური პროტესტის (ან სხვა ნებისმიერი მიზეზის) გამო, არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.[159]

---

[155] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ სერვისების განვითარების სააგენტო, საერთო სასამართლოები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, დაავადებათა კონტროლის ცენტრი (NCDC), იუსტიციის სახლი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, ეროვნული ბანკი, სოციალური მუშაკები, საქართველოს პარლამენტი, მთავრობის ადმინისტრაციის, სემეკის და სების თანამშრომლები, თბილისის მერია, მასწავლებლები, იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ბათუმის მერია, შემოსავლების სამსახური, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და სხვა [27.12.2024].

[156] *„ჩემთვის ესეც გასაგებია. ჩვენ წინა კვირას, მერიაში გამოვაცხადეთ რეორგანიზაცია. ამიტომ, კარგია, თვითლუსტრაციაა. ყველას თავისი გზა აქვს. ეს ადამიანები ირჩევენ ამ გზას. ეს მათი გადასაწყვეტია"*, „მთავარი არხი", „კალაძე მერიის თანამშრომლებს, რომლებმაც არალეგიტიმური ხელისუფლების გადაწყვეტილება გააპროტესტეს, გათავისუფლებით ემუქრება", 01.12.2024, https://mtavari.tv/news/171164-kaladze-meriis-tanamshromlebs-romlebmats, [27.12.2024].

[157] *„ამ ფარსის შემდეგ, უფრო დამაჯერებლები იქნებით, თუ დატოვებთ თანამდებობებს და თქვენს მთავარ ღირებულებებზე დაფიქრდებით"*, „ტაბულა", „წილოსანი საგარეოს თანამმრომლებს: სიტყვა „საგარეო» კი არ უნდა იყოს მთავარი, არამედ საკუთარი", 29.11.2024, https://tabula.ge/en/news/726490-cilosani-sagareos-tanamshromlebs-sitqva-sagareo, [27.12.2024].

[158] საია, „დაუშვებელია განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო საჯარო მოსამსახურეთა დევნა და მათზე ზეწოლის განხორციელება", 02.12.2024, https://gyla.ge/post/gancxadebeba-2dekemberi?fbclid=IwY2xjawHSnr9leHRuA2FlbQIxMAABHfJMID2Wj0o2B5RKeXKwAblL_bnJSffNrDix--CkD5oZzJtKq-QZBJdD-Q_aem_iVQ-Bg9iGX1j571V43U40Q, [2712.2024].

[159] საია, „საჯარო მოხელეებზე ზეწოლა მათი ლეგიტიმური პროტესტის გამო სისხლის სამართლის დანაშაულია", 02.12.2024, https://gyla.ge/post/saguaro-mokheleebze-zewola-siskhlis-samartlis-danashaulia?fb

გარდა ამისა, არალეგიტიმურმა პარლამენტმა გაამკაცრა საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, რის შედეგადაც კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიული მექანიზმები. 2024 წლის 11 დეკემბერს, პროევროპული პროტესტის მე-14 დღეს, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვევა, თვითგამოცხადებულ პარლამენტში „ქართულმა ოცნებამ" ერთდროულად რამდენიმე კანონში დააინიციირა არადემოკრატიული და რეპრესიული შინაარსის ცვლილებები.[160] ისინი დაჩქარებული წესით განიხილეს და მიიღეს.

ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ინიციირებული კანონპროექტი ისედაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა საჯარო მოხელის უფლებების დაცვის გარანტიებს და, მათ შორის, რეორგანიზაციის პოლიტიკური წმენდისთვის გამოყენების შესაძლებლობას ქმნიდა,[161] თუმცა, მეორე მოსმენაზე კანონი გარკვეულწილად შეიცვალა, კიდევ უფრო გაუარესდა და სხვა რეპრესიული ცვლილებებით შეივსო.[162]

სახელმწიფოში მიმდინარე ტერორის ფონზე, საჯარო მოხელეები ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან,[163] რასაც პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებებიც ადასტურებს. საიას მიაჩნია, რომ მესამე მოსმენით მიღებული ცვლილებებით სახელმწიფო კიდევ ერთ რეპრესიულ იარაღს ქმნის, ამჯერად საჯარო მოხელეების წინააღმდეგ და ცდილობს, პარტიულ და საჯარო სამსახურს შორის ზღვრის წაშლის პროცესს საკანონმდებლო საფუძველიც შეუქმნას.[164] ცვლილებებით ახლებურად წესრიგდება შემდეგი საკითხები:

დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის სტატუსი

დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ცვლილებების მიხედვით, იქნებიან არა პროფესიული საჯარო მოხელეები, არამედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. ეს ცვლილება, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ასუსტებს ამ პირების დაცვის გარანტიებს, მეორე მხრივ კი, არაპროპორციულად ზრდის საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გავლენას.

- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის

---

clid=IwY2xjawHSn3NleHRuA2FlbQIxMAABHdlWn86g27aK9lgKJMBqfj4vJjrHmSrGqoFtRUd5vCN9_J2bh_biP-8unw_aem_cGwve7G-vcQgn-NFZv5VRQ , [27.12.2024].

[160] საია, „ქართული ოცნება" კანონმდებლობაში არადემოკრატიული და რეპრესიული ცვლილებების შეტანას ცდილობს, 12.12.2024, https://gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-gyla?fbclid=IwY2xjawHSojpleHRuA2FlbQIxMAABHf4O0EUX7nSUPpOVvNdfXvT8IUMACjTfxZ1LG15KlxULkYu8XspV4Utt3A_aem_ojbpf0SGa9GlpJIFH32NtQ, [27.12.2024].

[161] „ქართული ოცნება" კანონმდებლობაში არადემოკრატიული და რეპრესიული ცვლილებების შეტანას ცდილობს, 12.12.2024, https://gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-gyla, [27.12.2024].

[162] საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", https://info.parliament.ge/#law-drafting/29794, [27.12.2024].

[163] ხელისუფლების მიერ პროტესტის წინააღმდეგ გამოყენებული რეპრესიული მექანიზმების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ: საია, „ტერორის 10 დღე მშვიდობიანი პროტესტის წინააღმდეგ", 08.12.2024, https://gyla.ge/post/terororis10dge, [27.12.2024]; „დაუშვებელია განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო საჯარო მოსამსახურეთა დევნა და მათზე ზეწოლის განხორციელება", 02.12.2024, https://gyla.ge/post/gancxadebeba-2dekemberi, [27.12.2024].

[164] საია, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მოხელეებზე ზეწოლის გაზრდას და საჯარო სამსახურის კიდევ უფრო პოლიტიზებას ემსახურება", 16.12.2024, https://gyla.ge/post/sajaro-samsaxuris-shesaxebkanoni-cvlilebebi?fbclid=IwY2xjawHTr6BleHRuA2FlbQIxMAABHcibwWeRZ2yQHoALDhIXvuJYKVBgYQTdsbSICHjAmozoROMn5B8iiQc5pA_aem_RgqoTlfLEhE2mtw15BlUJA, [27.12.2024].

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადა ვერ იქნება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაზე ხანგრძლივი;

- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნად არ იქნება სავალდებულო კონკურსის ჩატარება;
- **პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და მის მოადგილეს, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, აღარ მოეთხოვებათ, იცოდნენ სახელმწიფო ენა, იყვნენ 18 წელს მიღწეულნი, ჰქონდეთ მოხელის სერტიფიკატი**;
- ამ თანამდებობის პირების გათავისუფლება შესაძლებელი იქნება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ინიციატივით, რის შესახებაც პირს 1 თვით ადრე ეცნობება. ამ შემთხვევაში პირი მიიღებს კომპენსაციას მხოლოდ 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აქედან გამომდინარე, ამ მენეჯერულ რგოლზე არ ვრცელდება მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და გარანტიები (კანონის XII თავი), რაც დაწესებულების ხელმძღვანელს დაუსაბუთებელი, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს.[165]

საკონკურსო კომისია

ახალი მოწესრიგებით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნავს ამ საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, მის მოადგილეს ან ამავე საჯარო დაწესებულებაში მეორე რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელეს (აქამდე არსებული მოწესრიგების მიხედვით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს ამ საჯარო დაწესებულებაში პირველი ან მეორე რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელეს).

მიღებული ცვლილებები სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის პოზიციების პოლიტიზებას და მათი არასათანადო გავლენების მიმართ მოწყვლადობას ემსახურება. შესაბამისად, ამ პირების მიერ საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელობა აჩენს თავად კონკურსის პოლიტიზების საფრთხეს.[166]

რეორგანიზაცია

ახალი მოწესრიგებით, მარტივდება რეორგანიზაციის პოლიტიკური წმენდის იარაღად გამოყენება.

- აქამდე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა შესაძლებლობას, რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირების შემთხვევაში, მოხელე, მისი თანხმობით, გადაყვანილი ყოფილიყო იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე. რეორგანიზაციისას, შტატების შემცირების გამო, მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ასეთი მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში. ცვლილებების მიხედვით, რეორგანიზაციისას შტატების შემცირების შემთხვევაში, ეს გარანტია მოხელეებზე აღარ გავრცელდება და შესაძლებელი იქნება თანამდებობიდან მათი გათავისუფლება იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა მობილობა;

[165] *იქვე.*
[166] *იქვე.*

- საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულების შერწყმის პროცესში ან/და ამ პროცესთან დაკავშირებით მიღებული რომელიმე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეაჩერებს მის მოქმედებას;
- რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებული პირის თანამდებობაზე აღდგენა ვერ მოხდება სასამართლოს მიერ მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი. რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული პირის საჩივრის/სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება არ გამოიწვევს სამსახურში მის აღდგენას. ამ შემთხვევაში მას მიეცემა განაცდური თანამდებობრივი სარგო, კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით და, მისი თანხმობით, ჩაირიცხება მოხელეთა რეზერვში.[167]

მოხელის შეფასება

ახალი მოწესრიგება ამცირებს მოხელის შეფასების პერიოდულობას და, 1 წლის ნაცვლად, 6 თვით განისაზღვრება. ცვლილებები საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოხელის შეფასების შედეგები შეცვალოს ამ მოხელის შეფასების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. ამასთანავე, კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, მოხელეს დაუკავდება თანამდებობრივი სარგოს 20% მისი მომდევნო შესაფასებელი პერიოდის დაწყებამდე. ამგვარი მოწესრიგება ქმნის საფრთხეს, რომ მოხელის შეფასება დაუსაბუთებლად და ბოროტად იყოს გამოყენებული, როგორც მისი დასჯის მექანიზმი.[168]

[167] *იქვე.*
[168] *იქვე.*